საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მიმართულება

ნინო რუსიეშვილი

# ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ზოგიერთი პრობლემა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი  პროფესორი დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური
2021

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემაა „ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ზოგიერთი პრობლემა“ რომელშიც განხილულია აქტუალური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ინკლუზიური განათლების განხორციელებასთან.

ნაშრომში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ის მიდგომები და სტრატეგიები რომლებიც, ხელს შეუწყობს ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სსსმ და შშმ მოსწავლეებს პატივს ცემენ მშვიდობიანად თანამშრომლობენ და სწავლობენ ერთად.

შერჩეული მეთოდები უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას და შერჩეული წყაროები არის სანდო და უახლესი. თეორიული მასალა განხილულია ლოგიკური თანმიმდვრობით და შესაბამისობაშია კვლევის ამოცანებთან, რაც განაპირობებს ინკლუზიური განათლებს მარეგულირებელი დოკუმენტების სასკოლო განათლებასთან მიმართებაში უკეთ გაგებას გაცნობიერებას და სსსმ და შშმ მოსწავლეებთან მუშაობის ხარისხის ამაღლებას და საჭიროების შემთხვევაშ მზაობას მუშაობისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში მსგავსი მიმართების კვლევა არ არის ჩატარებული, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კვლევა ფასეულია, როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ასევე განათლების სფეროში მოღვაწე პირებისთვის.

## Annotation

The topic of the master's thesis is “Some problems of creating an inclusive learning environment” which discusses the current problem related to the implementation of inclusive education.

The paper presents approaches and strategies for working with students with special educational needs and disabilities in accordance with inclusive education, which will help create an effective learning environment where students with disabilities are respected, cooperate peacefully and study together.

The selected methods ensure the achievement of the research goal and the selected sources are reliable and up-to-date. The theoretical material is discussed in a logical sequence and is in line with the research objectives, which leads to an inclusive education with a better understanding of the regulatory documents related to school education and to improve the quality of work with students with disabilities and readiness to work if necessary. It is noteworthy that no such study has been conducted in Georgia, which allows us to say that the study is valuable for both the scientific community and those working in the field of education.

# სარჩევი

**შესავალი**.....5

**თავი I. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ზოგიერთი პრობლემა** .....13

1§. ინკლუზიური განათლების რაობა .....13

2§. სალამანკას დეკლარაცია .....16

3.§ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა განათლების პრობლემა..18

4§. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა განათლებასთან დაკავშირებული უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.....26

**თავიII. მოთხოვნები სკოლაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით** .....30

5.1§ ეროვნული სასწავლო გეგმა ინკლუზიური განათლების შესახებ.....30

5.2§ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო გარემო ინკლუზიური განათლებისთვის .....33

6§. კვლევები და რეკომენდაციები ინკლუზიურ გარემოსთან მიმართებაში.....36

7§. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების  პირთა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა.....45

8§. მონაცემთა შეგროვება სტრატეგიული განვითარებისთვის .....48

**დასკვნები და რეკომენდაციები**.....58

**ლიტერატურის დასახელება**.....62

**დანართი** .....64

# შესავალი

**თემის აქტუალობა:** ინკლუზიური განათლების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა XXI საუკუნის ბოლოდან. თავდაპირველად იყო სხვადსხვაგვარი გაგება, როგორც ცნება „ინკლუზიურისა“, ასევე მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდების შესახებ. თავდაპირველად ინკლუზიურ განათლებაში მოიაზრებოდა იმ ბავშვების სწავლება, რომელთაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდათ და იდგა საკითხი სკოლაში მათი ინტეგრაციასთან დაკავშირებით. იქმნებოდა და მუშავდებოდა სხვადასხვაგვარი პროექტები, რომელთაც ერთგვარი ნიადაგი მოამზადეს თანადროულობისთვის.

„სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ“ – ასე ეწოდება დოკუმეტს, ინჩიონის დეკლარაციას, რომელიც უკვე ზრუნავს იმაზე, რომ მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც 2030 წლისათვის უკეთესი, ხარისხიანი, ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლება ჰქონდეს. რომელმაც მდგრადი განვითარების ოტხი მიზნის შესაბამისად განსაზღვრა განათლების განვითარების გზა 2030 წლამდე სადაც მკაფიოდ წარმოდგენილია და განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების არსი და მიზანი ამავე დრკლარაციაში მოცემულია სამოქმედო გეგმა.

ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაშ ბევრი დაიწერა სტატიები, ჩატარდა კვლევებიც, შემუშავდა რეკომენდაციები, შეიქმნა პროექტები მაგრამ პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება. ჩემი დაინტერესება საკითხისადმი განაპირობა ჩემმა გამოცდილებამ ინკლუზიური განათლებისადმი და პირადმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ, როდესაც ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ დავიწყე პედაგოგიური საქმიანობა ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სპეციალურ პედაგოგად. სსსმ მოსწავლეებთან, რომლებიც სწავლობენ საჯარო სკოლებში, ძირითადად მათი სოციალიზაცია და განვითარება არ ხდება იმ დონეზე, რომ მათ

შეძლონ და იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. მრავალ პრობლემათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოდ მივიჩნიე სკოლის კულტურა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებით. მხედველობაში მაქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გაცნობიერება კერძოდ: სსსმ და შშმ მოსწავლეების მახასიათებლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშაოვების და სწავლების სტრატეგიების აკადემიური მიღწევის შეფასების და დასწრება გაცდეენებისა და შინ სწავების საკითხებში. ეს ის საკითხებია რომელსაც ყველა მასწავლებელი უნდა იცნობდეს და განიხილავდნენ კათედრის ხდომაზე და ერთგვარად თავისი წვლილი შექონდეს სკოლის საქმიანობაში როგორც სსსმ და შშმ მოსწავლეების არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე ინკლუზიური განათლების მოდელის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის, განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალისა და  მშობლების აქტიური ჩართვა სასკოლო პროცესში. მნიშვნელოვანია მოხდს იმ პრობლემებისა და ბარიერების იდენტიფიკაცია, რომლებიც აქვთ საჯარო სკოლებში სსსმ და შშმ მოსწავლეებს. ამავდროულად, ნაშრომში განვიხილავ იმ მოთხოვნებს რომელიც, სკოლის წინაშე დგას. საჭიროდ მივიჩნიე შესასვლელშივე აღმენიშნა რამოდენიმე ტერმინის განმარტება საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის.

სპეციალური სგანმანათლებლო საჭიროების მსწავლეების სასწავლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად ჩრთვის დროს სასკოლო სასწავლო გეგმაშ გასათვალისწინებელი უნდა იყოს თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ საკითხების კოორდინირებაზე, ეს პიროვნება შეიძლებ იყოს დირექციის წევრი მომსახურე პერსონალი მასწავლებელი ან მშობელი.ამ პიროვნებასთან უნდა იყოს დანიშნული შეხვედრების დრო, როდესაც სპეციალური სგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები შეძლებენ გასაუბრებას შესაძლო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. თუ სკოლას ჰყავს განსაკუთრებული სგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსწავლე, აუცილებლად უნდა განსაზღვროს, თუ რას აკეთებს იისათვის,

რომ ამ მოსწავლის განათლებისთვის ადეკვატური პირბები შეიქმნას მაგალითად მას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, ან სპეციალური სივცე, სადაც შეძლებს დასვენებას.

ზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით. ასეთ მოსწავლეს განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნები და მოთხოვნილებები აქვს.

სკოლა მარტო არ არის სსსმ და შშმ მოსწავლეებთან მუშაობაში განათლებისა და მეცნიერების სამმინისტროში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამმართველო, აჭარის განათლების კულტურის სამინისტროში მოქმედებს სპეციალური ჯგუფები, ტარდება ტრენინგები, გამოიცემა დადგენილებები გაძლიერდა სპეციალურ მასწავლებლთა მომზადების საკითხებიც, მაგრამ ძირითადი მაინც სკოლაა, სადაც ხდება ყველა რჩევის დავალების რეკომენდაციის შესრულების ხარისხს განაპირობებს ინკლუზიური განათლებისთვის ეფექტიანი გარემოს შექმნას, რომელიც სასურველი შედეგის მიღწევას შეუწყობს ხელს.

**კვლევის მიზანი:** ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს ყველასათვის ხელმისაწვდომ მშვიდობიან კეთილგანწყობილ გარემოს შექმნას, მათ შორის სსსმ და შშმ მოსწავლებისათვის.

**კვლევის ამოცანები:**

- განხილული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები ინკლუზიური განათლების შესახებ.
- განსაზღვრული იქნას ინკლუზიური განათლების შესაბამისად სსსმ და შშმ პირთა განათლების პრობლემა.
- განხილული იქნას  სსსმ და შშმ პირებთან მუშაობის უცხოური ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

- გაანალიზდეს კვლევების შედეგები ინკლუზიურ გარემოსთან მიმართებაში და გააზრებული იქნას რეკომენდაციები.
- განხორციელებული იქნას სსსმ მოსწავლთა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა ოჯახი თანატოლები.

**კვლევის მეთოდები:** წყაროების ანალიზი, სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევების ანალიზი, ინტერნეტ მასალების მოძიება დახარისხება, გამოყენება.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** ნაშრომში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმიოს შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ის მიდგომები და სტრატეგიები რომლებიც, ხელს შეუწყობს ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სსსმ და შშმ მოსწავლეებს პატივს ცემენ მშვიდობიანად თანამშრომლობენ და სწავლობენ ერთად.

**კვლევის თეორიული მნიშვნელობა:** ნაშრომში დამუშავებულია ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები მასალები, რომელიც ეხება ინკლუზიურ განათლებას განხილულია რეკომენდაციები, გზამკვლევი რომელშიც ასახულია ძირითადი მოთხოვნები.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომში მასალები წარმოდგენილია ნიმუშების, სქემების, პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილების გაზიარების სახით.

**კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ინტერნეტ რესურსები, პირადი გამოცდილება, ტრენინგის მასალები.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ორი თავის, 8 პარაგრაფის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და ლიტერატურის დასახელებისა და დანართისაგან.

**ნაშრომის გამოყენების სფერო:** განათლების მიმართულების სტუდენტები, საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები, ასევე

სპეციალური მასწვლებლები და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტები.

**ნაშრომის მოკლე შინაარსი:**

პირველი თავის „ინკლუზიური განათლების რაობა“ პირველ პარაგრაფში პარაგრაფში განხილულია ინკლუზიური განათლების განმარტებები ძველ და ახალ ვარიანტები. აღნიშნულია, რომ გაიზარდა ინკლუზიური განათლების, როგორც ცნების სფერო, თანამედროვე გაგებით „ინკლუზია“ ნიშნავს საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა თავისებურება ახასიათებთ მოსწავლეებს.

მეოერე პარაგრაფში „სალამანკას დეკლარცია“ განხილულია სალამანკას დეკლარაცია, რომელიც გამოიცა იუნესკოს მიერ 1994 წელს. დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანი განურჩევლად შესაძლებლობისა განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან ერთად: დეკლარაციის საფუძველზე სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს. აღნიშნული მოდელის თანახმად, ყველა ადამიანი განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან უმრავლესობასთან ერთად.

მესამე პარაგრაფში „სსსმ პირთა განათლების პრობლემა“ განხილულია სსსმ პირთა განათლების პრობლემა ბავშვთა განათლება პრობლემური იყო ყველა დროისთვის. უძველესი დროიდან საუკუნეების განმავლობაში, ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც იყვნენ და არიან განსხვავებულნი, უარყოფილნი იყვნენ საზოგადოების მხრიდან ყველა ქვეყანაში. თუმცა დროთა განმავლობაში ბოლო ათწლეულების მანძილზე სსსმ პირთა განათლებამ განიცადა გარკვეული ცვლილება. ამ ცვლილებების

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მრავალფეროვნების აღიარება და დაფასებაა. რასაც მოჰყვა შემდგომ სპეციალიზირებული სასწავლებლების გაუქმება და დაიწყო ახალი მიმართულება სსსმ პირთა ჩვეულებრივ სასკოლო სისტემაში ინტეგრაცია.

მეოთე პარაგრაფში „სსსმ პირთა განათლებასთან დაკავშირებული უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება“ განვიხილავთ უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება სსსმ პირთა განათლებასთან დაკავშირებით. ამ თავში მოვიყვანე ორი ქვეყნის მაგალითი: გერმანიის სკოლები დაყოფილია სპეციალიზირებულ, კორექციული და ზოგადი სკოლებად. სპეციალიზირებულ სკოლებში, როგორც წესი სწავლობენ მძიმე ფიზიკური და გონებრივი დარღვევის მქონე ბავშვები, კორექციულში ეგრედწოდებული „რთული ბავშვები“. ხოლო ნორვეგიის განათლების სისტემის მიზანია ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს მორგებული განათლების დამკვიდრებით. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ზრუნავენ ინკლუზიურ განათლების განხორციელებისათვის, მათ შორის როგორც სსსმ და შშმ პირთა განათლებისათვის.

მეორე თავის „ეროვნული სასწავლო გეგმა ინკლუზიური განათლების შესახებ“ მეხუთე პარაგრაფში განხილულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წერილობითი დოკუმენტი, შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამავდროულად არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო გარემო ინკლუზიური განათლებისთვის“ განხილილია სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოში წარმატებულ ჩართულობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ინკლუზიის პროცესი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელთანაც მოსწავლეს უხდება ურთიერთობა განათლების მიღების პროცესში. ინკლუზიური განათლების მიმართ სკოლის სოციალური გარემოს პოზიტიურმა ან ნეგატიურმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფერხოს ან შეუწყოს ხელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წარმატებებს სკოლაში. სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებული დანერგვისათვის, აუცილებელია სკოლის მოსწავლეების და მათი მშობლების დამოკიდებულების, მზაობისა და ინფორმირებულობის გათვალისწინება ინკლუზიური განათლების მიმართ.

მეექვსე პარაგრაფში „კვლევები და რეკომენდაციები ინკლუზიურ გარემოსთან მიმართებაში“ განხილულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“, რომელიც საკმაოდ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, უმრავლესობა სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია ყველა ბავშვის მიმართ, თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდეთ. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სასკოლო გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. კვლევის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლაში მიმდინარე აქტივობები და სასკოლო სტრატეგიები ყველა მშობლისთვის მეურვისთვის არის ცნობილი; ამასთან, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის თანაბრად, განურჩევლად მათი ენის, ან შეზღუდული შესაძლებლობებისა. კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა კეთილგანწყობილია.

მეშვიდე პარაგრაფში „სსსმ პირთა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა“ განხილულია საქართველოში მცხოვრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემები. დღეისათვის სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს. როდესაც საუბარია სსსმ და შშმ პირებისათვის მაქსიმალურად ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დგება სსსმ და შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, განათლების, ინფრომირებულობის, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, თავისუფალი გადაადგილებისა და ორიენტაციის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის, კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების აუცილებლობა.

მერვე პარაგრაფში „მონაცემთა შეგროვეა სტრატეგიული განვითარებისთვის“ განხილულია მეთოდები დაეხმარება პედაგოგებს შეავსოსნ სსსმ და შშმ მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია და დააკვირდნენ ამ მეთოდების გამოყენებით მათ ქცევებს. ამ მეთოდეების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ კლასის დამრიგებლებს მათ შემოთავაზებული კითხვარის შევსებისას გამოიყენეს ჩეკლისტების მეთოდი და შემდეგ რეიტინგული სკალების გამოყენებით ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. ამგვარი მიდგომა სასარგებლო აღმოჩნდა, მასწავლებლებისთვის და მათვის აღნიშნული მეთოდებით მუშაობა სირთულეს არ წარმოადგენდა.

# თავი I. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ზოგიერთი პრობლემა

## §1. ინკლუზიური განათლების რაობა

ინკლუზია ცნება ისტორიულად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის კონტექსტში. დღეისათვის ინკლუზიამ ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, და იგი იმ მიდგომასა და საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ასახავს, რომელიც ისეთ ჰუმანისტურ ფასეულობებს ეფუძნება, როგორიცაა მიმღებლობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა. ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მიისწრაფვის შეიქმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის. შშმ პირის ინკლუზია საზოგადოებაში პირდაპირ კავშირშია მიდგომებთან, ანუ მოდელთან, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოება ირჩევს ყველა მოწალაქის საჭიროებათა დაკმაყოფილების პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ინკლუზიური განათლება, სოციალური მოდელის დამკვიდრების თანამდევ პროცესს წარმოადგენს. ინკლუზიის დანერგვა განათლების სისტემაში არის პროცესი, რომელიც უკავშირდება სასწავლო დაწესებულებების ნაგებობების ადაპტირებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას შშმ და სსსმ პირთა საჭიროებათა გათვალისწინებით, ეფექტური სასწავლო პროგრამების, სპეციალური მეთოდიკის შემუშავებას, პედაგოგთა და ინკლუზიასთან დაკავშირებული სხვა კადრების პროფესიულ მზადყოფნას, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი აზრის მომზადებას, ცნობიერების გარდაქმნას, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ინკლუზიური სწავლების დანერგვა უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომელიც ობიექტურად გაიწელება დროში, მაგრამ იგი ამთავითვე უნდა დაიწყოს და შეძლებისდაგვარად დაჩქარდეს. პროცესის

წარმატებას განსაზღვრავს, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვება მასში სკოლის ყველა თანამშრომელი, მშობელი, ბავშვი, სახელმწიფო მოხელე, მთელი საზოგადოება, რამდენად ერთსულოვანი იქნება მათი მისწრაფება იმ წინაღობების აღმოფხვრისაკენ, რომელთაც აწყდება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი და ღია მონაწილეობის საკითხი.

,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებში", თავის მხრივ, იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები ანუ ყველა მოსწავლე, მთელი მათი მრავალფეროვნებით, ინდივიდუალური თავისებურებებით და საჭიროებებით. ინკლუზიური სკოლის კონცეფციაში ის, რომ ბავშვები განსხვავდებიან და არ გვანან ერთმანეთს, განიხილება არა როგორც პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, არამედ მნიშვნელოვანი რესურსი, რომლის გამოყენება აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესში, აუცილებელია საზოგადოებისთვის, რადგან მისი მშვენიერება განსხვავებულთა არსებობაშია და, როცა ყველანი კარგად გავაცნობიერებთ ამას, ინკლუზიას წინ არაფერი დაუდგება.

მაინც რას ცვლის ინკლუზიური განათლების დანერგვა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაში? ინკლუზიური განათლება პირდაპირი გზაა როგორც შშმ და სსსმ პირის თვითრეალიზაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციისაკენ, ისე თვით საზოგადოების ჰარმონიზაციისაკენ. იქ, სადაც ინკლუზიური სწავლება მეტნაკლებად დანერგილია, სკოლა ბავშვებს, რომელთაც პრობლემები აქვთ, აძლევს მათი უნარების შესაბამის აკადემიურ ცოდნას და ამავე დროს უმაღლებს სოციალურ უნარებს, ტოლერანტობის ხარისხს. ადამიანები იწყებენ ხედვას არა იმისა, რაც ადამიანს არა აქვს, არამედ იმისა, რაც მას აქვს. ანუ სხვა, უფრო მაღალი ფასეულობები ჩნდება. ისინი ნელ-ნელა ეჩვევიან განსხვავებულ ადამიანებთან ცხოვრებას, სამყაროს აღიქვამენ ისეთს, როგორიც ის არის, და არა ცალმხრივ პრიზმაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი, მოზარდი ამ გზით უფრო სწრაფად ჰპოვებს შინაგან თავისუფლებას და შეერწყმის საზოგადოებას, ხოლო თანატოლების თვალში განსხვავებულობის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის" აბსტრაქტული პრობლემა იძენს მეგობრის, თანაკლასელის კონკრეტულ სახეს და გულგრილს ვეღარ ტოვებს, უვითარებს სხვისი უფლებებისადმი პატივისცემას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პიროვნების იგნორირება, ინდივიდუალიზმის, განსხვავებულობის მიმღებლობის დეფიციტი საფრთხეს უქმნის ჰარმონიას საზოგადოებაში.

იგი სხვათა უფლებებისადმი პატივისცემამ უნდა შეცვალოს. ყველაფრის ერთად შეცვლა ადვილი არ არის, მაგრამ საზოგადოება თანმიმდევრულად უნდა ებრძოლოს ადამიანის პირადი ღირსებისათვის; ყოველ ადამიანში ღირებულისა და მნიშვნელოვანის დანახვისათვის რასაც დღეს ბევრის თვალში უკანა პლანზე სწევს მისი განსხვავებულობა, ყველას თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის;

გარდა ამისა, კვლევებმა დაადგინა რომ ჰეტეროგენულ განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჯგუფებში სასწავლო პროცესი გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ჰომოგენურ ერთნაირი შესაძლებლობის მქონე კლასებში. ვინაიდან, სწავლების ის სტრატეგიები და მეთოდები მაგალითად კეთებით სწავლება, მულტიმოდალური მიდგომა, სხვადასხვა სტრატეგიები დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური საშუალებები, მოდიფიცირებული დიდაქტიკური მასალა და ა.შ ასევე ეხმარება ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეს უკეთ აღიქვას და დაისწავლოს მიწოდებული მასალა ლ. ვიგოცკის თეორიის თანახმად, შერეულ სხვადასხვა ასაკის და შესაძლებლობის უნარების მქონე მოსწავლეთა კლასში როცა შედარებით კომპეტენტური მოსწავლეები უხნიან და ასწავლიან თავიანთ თანაკლასელებს რაიმე თემას საკითხს, ისინი ახდენენ საკუთარი ცოდნის უკეთ გაანალიზებას. ესეიგი როცა ვასწავლით თავადაც ვსწავლობთ. გარდა ამისა, ამა თუ იმ საკითხში დაბალი

კომპეტენციის მქონე მოსწავლე სხვაზე დაკვირვებით - მოსმენით და ქცევითი დასწავლით, უკეთ ითვისებს სასწავლო მასალას. ინკლუზიურ განათლება ყველასთვის სარგებლის მომტანია.

ამრიგად ტერმინი „ინკლუზია“ თანამედროვე გაგებით ნიშნავს საგანმანათლებლო მიდგომასა და იდეას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა თავისებურება ახასიათებთ მოსწავლეებს.

## §2. სალამანკას დეკლარცია

სალამანკას დეკლარაცია იუნესკოს მიერ თავდაპირველად გამოიცა 1994 წელს. დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანი განურჩევლად შესაძლებლობისა განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან ერთად, სალამანკას დეკლარაციაში წარმოდგენილი იქნა შემდეგი ძირითადი უფლებები და ცნებები:

- ყველა ბავშვს, მათ შორის განათლების სფეროში დროებითი და მუდმივი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვს, აქვს უფლება ისწავლოს სასკოლო დაწესებულებაში;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს თანატოლებთან;
- ყოველ ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვზე ცენტრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება;

- ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობას და ეფექტურობას.

დეკლარაციის თანახმად, მოსწავლეები შესაძლოა საჭიროებდნენ დროებით ან მუდმივ დახმარებას სასკოლო სისტემაში შემდეგი მიზეზების გამო:

- სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, და/ან
- ეკონომიკური მდგომარეობა, და/ან
- პოლიტიკური მდგომარეობა, და/ან
- თანდაყოლილი შეზღუდული შესაძლებლობა, და/ან
- შეძენილი შეზღუდული შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, განათლების ხელმისაწვდომობაზე მსჯელობისას საუბარია არა მხოლოდ ბავშვთა ისეთ უმცირესობაზე, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, არამედ სკოლაში მოსიარულე ბავშვების უმრავლესობაზე, და მათ შორის შშმ ბავშვებზე.

სალამანკას დეკლარაციაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ:

- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, აწყდება თუ არა ბარიერებს სწავლისა და განვითარების პროცესში;
- ინკლუზიურმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი განათლების მიღება, რომელიც ბავშვებს აარიდებს არასრულფასოვნების კომპლექსსა და ამით განპირობებული უარყოფითი გრძნობების განვითარებას;
- ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანამშრომლობას და არა კონკურენციას.

ამრიგად 1994 წელს სალამანკას დეკლარაციამ და 12 წელიწადში 2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა კონვენციამ მნიშვნელოვნად

შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება. სალამანკის დეკლარაციით სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს. აღნიშნული მოდელის თანახმად ,ყველა ადამიანი განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან უმრავლესობასთან ერთად. საქართველოში ინკლუზიური განათლება განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად 2006 წლიდან იქცა. დღეისათვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა საქართველოში. 2006 წლიდან დაწყებული ზოგადი განათლების საფეხურზე და 2013 წლის თებერვლიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებად განიხილება.

## §3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა განათლების პრობლემა

სპეციალირ საგანმანათლებლო საჭროებების მქონე პირთა განსაკუთრებით ბავშვთა განათლება პრობლემური იყო ყველა დროისთვის, პედაგოგიურ მეცნიერბებში ცალკე დარგად ჩამოყალიბდა დეფექტოლოგია, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა შემდეგ მიმართულენბებს.

- სურდოპედაგოგიკა - არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა აღზრდა სწავლების პრობლემებს.
- ტიფლოპედაგოგიკა - არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მხედველობის რთული ფორმების დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლა-აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების საკითხებს.

- ლოგოპედია - არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ენაბორძიკობის დაძლევის გზებს და საშუალებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგიური მეცნიერებები სხვა მეცნიერებებთან განსაკუთრებით კავშირიშია ფსიქოლოგიასთან ანატომიასა, და ფიზიოლოგიასთან. მეცნიერული დასკვნებზე დაყრდნობით, შემუშავებული იქნა მიდგომები, მეთოდები, რეკომენდაციები, რომელსაც იყენებდნენ გასულ საუკუნეში სსსმ ბავშვებისათვის დაარსებულ სპეციალიზირებულ სასწავლებლებში.

XXI საუკუნის დასაწყისში სპეციალიზირებული სასწავლებლები გაუქმდა და დაიწყო ახალი მიმართულება სსსმ პირთა ჩვეულებრივ სასკოლო სისტემაში ინტეგრაცია. შეიქმნა სხვადასხვა პროექტები გააზრებული იქნა უცხოეთის გამოცდილება. ყოველი ახალი მცდელობისას ახალ-ახალი პრობლემები ჩნდებოდა, ურთიერთობები ბავშვებს შორი, კადრების მომზადება მშობელთა დამოკიდებულება და სხვა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე სსსმ პირთა განათლებამ განიცადა გარკვეული ცვლილება.

ამ ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მრავალფეროვნების აღიარება და დაფასებაა. ამას, ბუნებრივია, უნდა მოყვეს საზოგადოებაში ყველა იმ ადამიანის ინტეგრაცია-რეინტეგრაცია, რომელიც გარიყული ან განცალკევებულია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ფიზიკური პრობლემები და სწავლისა და განვითარების მხრივ სიძნელეები აქვთ. ეს სიძნელეები მხოლოდ მათი სპეციალური საჭიროებებით როდია გამოწვეული. ამ სიძნელეების არსებობაში არანაკლებ როლს თამაშობს ამ ბავშვების სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების პირობების არარსებობა.

უძველესი დროიდან საუკუნეების განმავლობაში, ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც იყვნენ და არიან განსხვავებულნი, უარყოფილნი იყვნენ საზოგადოების მხრიდან ყველა ქვეყანაში. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, შიში შეუცნობელის მიმართ და მეორე მხრივ,

ბრძოლა არსებობისათვის გნებავთ, ბრძოლა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. ისინი, ვისაც არ ჰქონდა ძალა მონაწილეობა მიეღო ჯგუფის გადარჩენისათვის ბრძოლაში, გამიჯნული და გარიყული ხდებოდა. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის, ვინც სხვებისაგან განსხვავებულად იქცეოდა თუ აზროვნებდა. ამგვარი ადამიანები მუდამ ასოცირდებოდნენ ბუნტთან, ღალატთან; მათ სიკვდილით სჯიდნენ, საპყრობილეებში ათავსებდნენ, ასახლებდნენ ან, უბრალოდ, გარიყავდნენ ხოლმე საზოგადოებიდან.

მათ, ვინც განსხვავებულად ითვლებოდა შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ხშირად „კოჭლს“ „გიჟს“, ,,ჭკუიდან შეშლილს“ უწოდებდნენ. ამ ადამიანებს ხშირად სასიკვდილოდ სწირავდნენ ან სხვათა გასართობად იყენებდნენ; არ აძლევდნენ საკმარისი რაოდენობის საკვებს და ართმევდნენ სიყვარულის თუ სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობების უფლებას. ამგვარად, ისინი მარტოსული, სოციალური კუთვნილების გრძნობას მოკლებული რჩებოდნენ და თავს ხშირად უსარგებლოდ გრძნობდნენ.

ბუნებისადმი შიშმა, შეზღუდული შესაძლებლობების გამომწვევი მიზეზების შეუცნობადობამ და ზოგადად ცოდნის დეფიციტმა მთელი რიგი ცრურწმენები წარმოშვა. ამ მხრივ არ არსებობს ძირეული განსხვავება ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის კულტურებს შორის. საყოველთაო რწმენით, ქალის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გაჩენა ნიშნავდა, რომ იგი ისჯებოდა წინაპართა ცოდვების გამო. იმის ფონზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ყოლა დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ, კულტურულ, სოციალურ და პრაქტიკულ პრობლემებთან, მშობლებს ხშირად ურჩევდნენ მიეტოვებინათ იგი და სხვის გაჩენაზე ეფიქრათ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, გადამალული და ჩაკეტილი ჰყავდათ ოთახებში, ბედის ანაბარა ტოვებდნენ მინდორსა და ტყეში. ზოგჯერ, მათ აშვილებდნენ და აძლევდნენ სხვა ოჯახებს ან საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

ცოდნისა და განათლების გაღრმავების, სასიცოცხლო მცნების „არა კაც ჰკლა“ დამკვიდრების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების შედეგად, ჩნდება და ძლიერდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გადარჩენის ტენდენცია, მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხდება მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა დამატებითი დახმარება და მხარდაჭერა. ამ ეტაპზე ნაკლებად დომინირებს ბავშვების აღზრდა და განათლება იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ თავად დაეხმარონ მშობლებს სიბერეში. თუმცა, ოჯახებისათვის არასოდეს ყოფილა და არც ახლაა ადვილი სპეციალური საჭიროების ქმონე ბავშვების აღზრდა.

საქველმოქმედო ორგანიზაციებმა და რელიგიურმა ჯგუფებმა გახსნეს სპეციალური თავშესაფრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრული ადამიანებისათვის. თავშესაფრების ნაწილი აკმაყოფილებდა მხოლოდ მინიმალურ საბინაო პირობებს, ნაწილი კი გამოირჩეოდა კარგი ადგილმდებარეობით და კეთილმოწყობით. თუმცა, ეს სახლები ხშირ შემთხვევაში განცალკევებით, საზოგადოების თვალთაგან მოფარებულ ადგილებში იგებოდა.

ამგვარ სახლებში მომუშავე ადამიანები თავიანთ საქმეს ბედისწერას ან ცხოვრებისეულ მისიას უკავშირებდნენ, მზად იყვნენ სიცოცხლე შეეწირათ დიადი მიზნისთვის – დახმარებოდნენ უმწეო ხალხს. ისინი, ვინც აქტიურად ერთვებოდნენ ამ საქმიანობაში, ხედავდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ზრდასრულ ადამიანებზე ზრუნვა მათაც მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენდა და სულიერად ამდიდრებდა.

თუმცა, ნორმალური, მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზრდილი ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა. სპეციალურ სკოლებში, მიმღებ ოჯახებსა და დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები ხშირად მოშორებულნი იყვნენ საკუთარ ოჯახებსა და სახლებს. სპეციალური

სკოლებისა და დაწესებულებების უმრავლესობა არაკომპეტენტური პირებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ბავშვებისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ ისევე, როგორც მოზრდილებისადმი. ეს შშმ ბავშვებსა და მოზრდილებს მარტოობისა და არასრულფასოვნების განცდას უღვივებდა. ზოგიერთ დაწესებულებაში ბავშვები და მოზრდილები იძულებულნი იყვნენ მძიმე სამუშაო შეესრულებინათ და ხშირად არაკეთილსაიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. გამორიცხული არ იყო მათზე ფიზიკური ძალადობაც პერსონალისა თუ დაწესებულებაში მობინადრე სხვა პირების მხრიდან.

სამეცნიერო კვლევამ, გამოცდილების დაგროვებამ, ცოდნის გაღრმავებამ, ღირებულებათა გადაფასებამ და პოლიტიკური იდეოლოგიის ცვლილებებმა წვლილი შეიტანა სპეციალურ დაწესებულებებსა და სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე ოფიციალური კონტროლის გაუმჯობესებაში, სპეციალური სოციალური პროგრამების, კანონმდებლობისა და შიდა პოლიტიკის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ბავშვებსა და მოზრდილებს ჯერ ისევ აკლდათ სითბო, მზრუნველობა, სათანადო პირობები სოციალური, ემოციური და შემეცნებითი განვითარებისათვის. პოზიტიური სტიმულაციის არარსებობისა და გაუცხოების გამო მათ უღვივდებოდათ სტერეოტიპული ქცევა და აზროვნება, ემოციების გასადავება. ეს ყოველივე თან ერთვოდა შეზღუდულ შესაძლებლობებს და კიდევ უფრო აფერხებდა მათ განვითარებას.

დროთა განმავლობაში გაიზარდა ყურადღება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ახალი ტიპის სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში მყოფი ბავშვების, მოზარდებისა და მოზრდილების მიმართ. თვალშისაცემი იყო ამ დაწესებულებების გადატვირთულობა. აქ არსებული მდგომარეობა, ,,რეფორმატორული“ მეთოდები და მიდგომები არ აღმოჩნდა საკმარისი მის მობინადრეთა ინტეგრირებისათვის საზოგადოებაში. ისინი, თავის მხრივ, საზოგადოებამაც არ მიიღო.

გადატვირთული იყო თავშესაფრებიც, რაც არ იძლეოდა ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საშუალებას. ურთიერთობა ერთ ან ორ მზრუნველთან, მის კონტროლქვეშ ორმოცი ბავშვის ყოფნის პირობებში, არ იყო საკმარისი სოციალური კონტაქტისათვის.

გამოცდილებამ ასევე გვაჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სკოლა-ინტერნატების დატოვების შემდეგ არ ესწრაფვიან მშობლიურ ოჯახებსა და სახლებში დაბრუნებას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მშობლებსა და მშობლიურ სახლებთან მრავალწლიანი განშორების შემდეგ ისინი სრულიად უცხონი ხდებიან ერთმანეთისათვის. მაგალითად, სმენადაქვეითებულ ანდა ყრუ მოზარდებსა და ახალგაზრდებს საუბარიც კი არ შეეძლოთ თავიანთ ოჯახებთან და ძნელად ეჩვეოდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, თუმცა ვერც იმ ფაქტს ავუვლით გვერდს, რომ ისინი ცხოვრებას აგრძელებენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ქმნიან ოჯახებს, ზრდიან ბავშვებს, სახელმწიფო უზრუნველფოფს საცხოვრებლით, სამუშაოთი და დახმარებით.

საზოგადოების უდიდეს ნაწილს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა არსებული სიტუაციისადმი. მშობლებმა, მასწავლებლებმა, პოლიტიკურად აქტიურმა ადამიანებმა, რომელთაც შშმ პირის სტატუსის მქონე შვილი ჰყავდათ დაიწყეს ბრძოლა ყველა ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დასაცავად. მათ ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საერთო სოციალურ გარემოში განვითარების უფლების მოპოვება ყველასათვის. ეს იყო ,,ნორმალიზაციისაკენ,, მიმართული რეფორმების საწყისი ეტაპი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინკლუზიის პროცესს.

თანდათან, დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა რომ საკლასო ოთახში მოსწავლეთა შემადგენლობა მრავალფეროვანია არა მარტო შშმ ან/და სსსმ ბავშვების ხარჯზე, არამედ მათთან ერთად ყველა სხვა მოსწავლისა, ვინც სიძნელეებსა და ბარიერებს აწყდება სწავლისა და

განვითარების პროცესში. სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებამ ცხადყო, რომ სიძნელეები წერა-კითხვისა და მათემატიკური ანგარიშის სწავლაში არ არის „ფატალური“ და შეიძლება მოგვარდეს სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლით. გარდა ამისა, იდენტიფიცირებულ იქნა ემოციური, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული სიძნელეები, რაც ასევე განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს პედაგოგების მხრიდან. ამავდროულად, გამოიკვეთა ურთიერთობის არა მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელობა სწავლების სისტემური და რესურსებზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელების პროცესში.

ცნება ნორმალიზაცია ხშირად არასწორად არის გაგებული. მასში იგულისხმება არა ადამიანების ,,ნორმალურებად“ ჩამოყალიბება, როგორც ეს შეცდომით ესმით ხოლმე, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების აღქმა საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებად, ანუ, ორგანულ ნაწილად, და იმის გაცნობიერებას, რომ ჩვენ ვართ თანასწორუფლებიანი. მათი ცხოვრებისეული მოთხოვნილებები და ცხოვრების დონე უზრუნველყოფილი უნდა იყოს იგივე კანონმდებლობითა და მომსახურებით, რომლითაც გარანტირებული და დაცულია მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების პირობები. ეს მოიცავს შესაბამის კანონმდებლობას სამედიცინო დახმარების, სოციალური უსაფრთხოების, განათლების, საჯარო დაწესებულებების, დასაქმების, გასართობი ღონისძიებების და სხვა სფეროებში. მასში იგულისხმება, აგრეთვე, უფლება ჰყავდეს მეგობრები, გამოსცადოს სიყვარული და ჰქონდეს სქესობრივი ცხოვრებისა და შვილების ყოლის უფლება.

ნორმალიზაციის პროცესი აშშ-ში 60 წლებიდან იწყება კიდევ უფრო ადრე ბრიტანეთსა და სკანდინავიაში და მან განაპირობა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დიდი ინსტიტუციების დაშლა და შშმ პირების სოციალური ინტეგრაცია ინკლუზია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საზოგადოება შედარებით ტოლერანტული იყო ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირების მიმართ, ამიტომ ნორმალიზაციის

პროცესი უმეტესად მათ შეეხოთ, თუმცა წლებთან ერთად ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებზეც გავრცელდა ყველა ის რეფორმა, რასაც ნორმალიზაციის პროცესს შედეგად მოჰყვა.

წარსულში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხი მხოლოდ ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და მისი ცალკეული ინსტიტუტების კომპეტენციას წარმოადგენდა. დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რომ ყველა ბავშვის განათლება წარმოადგენს განათლების სამინისტროს კომპეტენციას, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპეტენცია კი მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაა.

უფლებებზე საუბრისას, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, სხვების მსგავსად აქვთ უფლებები და მოვალეობები სხვა ადამიანებისა და საზოგადოების წინაშე. მნიშვნელოვანია, თითოეულმა პიროვნებამ გაიცნობიეროს თავისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, რათა განახორციელოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ამავდროულად, უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება. მართალია, რეალობა შესაძლოა არასდროს იყოს ამ თვალსაზრისით იდეალური, მაგრამ მნიშვნელოვანია ჩვენ ამ იდეალური ვითარების მიღწევის მიმართულებით ვიმოქმედოთ.

ამრიგად, სსსმ პირთა განათლების პრობლემა ყოველთვის იყო. პედაგოგიურ მეცნიერებებში ჩამოყალიბდა დეფექტოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს

პედაგოგიური მეცნიერებების სხვა მეცნიერებებთან კავშირით ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედიატრია შემუშავებული რეკომენდაციები, პროგრამები, სასწავლო გეგმები გამოიყენებოდა სპეციალიზირებულ სკოლა-ინტერნატებში, რომელშც ბავშვები იღებდნენ თავიანთი შესაძლებლობის და საჭიროების მიხედვით განათლებას. კურსდამთავრებულებს სახელწიფო უზრუნველყოფდა ბინით, სამუშაოთი და დახმარებით. XXI საუკუნის დასაწყისში სპეციალიზირებული

სასწავლებლები გაუქმდა და დაიწყო ახალი მიმართულება სსსმ პირთა ჩვეულებრივ სასკოლო სისტემაში ინტეგრაცია.

ზემოთ ჩამოთვლილმა ცვლილებებმა საბოლოოდ განაპირობა ინტეგრაციისა და ინკლუზიის პროცესის დაწყება.

## §4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა განათლებასთან დაკავშირებული უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება

ინტერნეტ წყაროების ანალიზით, სამაგიდო კვლევის მეთოდის გამოყენებით შევისწავლე სსსმ პირთა განათლებასთან დაკავშირებით უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება. ახლა უშუალოდ განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით.

გერმანიაშ ინკლუზიური განათლება არის მთავარი საშუალება, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად ფიზიკური, მენტალური, სოციალური თუ პიროვნული შესაძლებლობებისა, დაიშვას სკოლაში საცხოვრებელთან ახლოს. 2009 წლიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, გერმანია ვალდებულია დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები. აქ ცალკეული შტატები ცდილობენ შეცვალონ რეგულაციები და სასკოლო კანონები იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს თანაბარი მონაწილეობა და ინდივიდუალური მხარდაჭერა სკოლაში. ამიტომ ისინი ცვლიან სკოლისა და კლასების დიზაინს, მუშაობენ მასწავლებლების ტრენინგებზე და ქმნიან სხვა პროფესიონალთა გუნდებსაც ამა თუ იმ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცდილობენ დაეყრდნონ მოსწავლეთა ძლიერ მხარეებს.

რატიფიცირებიდან ექვსი წლის შემდეგ, ინკლუზიური განათლება სკოლებში არ არის სრულყოფილად განვითარებული, თუმცა სსსმ და შშმ მოსწავლეებს კანონიერი უფლება აქვთ იარონ სკოლაში. სკოლაში ნებადართულია ცვლილებების განხორციელებაც თუ სკოლის პერსონალი,

მატერიალური ან სივრცითი პირობები ვერ აკმაყოფილებს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

შვედეთის განათლების აქტი ითვალისწინებს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის, მიუხედავად სქესის, გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა. იგი აცხადებს, რომ განათლებამ უნდა მისცეს მოსწავლეს ცოდნა და უნარები, ხელი შეუწყოს განვითარდეს პასუხისმგებელ და საზოგადოების წევრად. შემდეგ დაემატა განკარგულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის. 1950-იანი წლების ბოლოდან, შვედეთის საშუალო სკოლაში იზრდება რაოდენობა მოსწავლეებისა შეზღუდული შესაძლებლობებით.

შვედეთში მუნიციპალიტეტები აწარმოებენ პროგრამებს მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ მძიმე პრობლემები სწავლაში. ამ მოსწავლეთა განათლების მიღება ხორციელდებოდა სპეციალურ კლასებში. ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესი გულისხმობს მშობლების, ექსპერტებისა და რამდენადაც შესაძლებელია თავად მოსწავლეთა ჩართვას. სსსმ მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა სახის დახმარება. თუ საჭიროება არ მოითხოვს პედაგოგიური პერსონალისა და სპეციალური კლასის გამოყენებას, სპეციალური განათლების მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს დაეხმაროს კლასში ან ჯგუფში კლასის გარეთ.

მოსწავლეები, რომლებიც არიან ავად ხანგრძლივი პერიოდი, შეუძლიათ ისწავლონ საავადმყოფოში ან სახლში. შვეიცარიაში სპეციალური სკოლები არის მხოლოდ ყრუ ან სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის.

ამერიკაში ინკლუზიური განათლების წინა პლანზე წამოწევა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის „კანონი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ“, მოქმედებს 2002 წლიდან მიხედვით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოეპყრას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისევე, როგორც სხვა ბავშვებს, შეცვალონ თავიანთი საქმიანობა და საგანმანათლებლო პროგრამები ისე, რომ დაკმაყოფილდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ კანონის თანახმად, ყველა შტატმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვების ერთად სწავლება, ხოლო სპეციალური განათლება, განცალკევებით სწავლება ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სივრციდან მოხდეს მხოლოდ იმ შემთხევაში, როცა დაავადებიდან გამომდინარე ჩვეულებრივ კლასებში ხარისხიანი განათლების მიღება შეუძლებელია დამატებითი საშუალებებისა და მომსახურების გამოყენებითაც კი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა კვლევა მასში აღნიშნულია, რომ რესურს ოთახი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ინკლუზიურ განათლებაში, სადაც მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს მოსწავლეების მცირე ჯგუფებთან ან ინდივიდუალურად. კვლევაში მონაწილეობდა 8 სსსმ მოსწავლე, რომელთაც ეძლეოდათ სხვადასხვა სასწავლო ინსტრუქცია რესურს და საკლასო ოთახში. კვლევაში შეადარეს მოსწავლეების მიერ დახარჯული დრო საკლასო და რესურს ოთახში. მათი დიდი ნაწილი სკოლაში აქტიური იყო ძალიან მცირე ხნით. ორი დღის განმავლობაში 10 წუთიანი ინტერვალით აძლევდნენ მოსწავლეებს სასწავლო ინსტრუქციებს საკლასო ოთახში, ამის შესაძლებლობა ჰქონდათ შემდეგ რესურს ოთახშიც ინსტრუქციები ამ შემთხვევაში იყო უფრო ინდივიდუალური დიდი არა, მაგრამ მცირე განსხვავება მაინც აღინიშნა: კვლევის მსვლელობისას მოსწავლეები საშუალოდ 29 წუთის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიცემულ დავალებებში რესურს ოთახში და მხოლოდ 19 წუთი საკლასო

ოთახში. კვლევაში ვკითხულობთ, რომ რესურს ოთახი აუცილებელია სსსმ მოსწავლეების სწავლების პროცესში.

რესურს ოთახი უცხოურ მასალაში განისაზღვრება, როგორც ადგილი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ესწრებიან ყოველდღიურ მეცადინეობებს. აქ მათ უტარდებათ ინდივიდუსლური და ჯგუფური მეცადინეობები. რესურს ოთახში ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს ხუთი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ატარებენ სასწავლო დღის ნაწილს ან მთელ დროს რესურს ოთახში. ზოგ მოსწავლეს კი უდგენენ ინდივიდუალურ გრაფიკს, მაგალითად, მოსწავლის საჭიროებები შეიძლება მოითხოვდეს რესურს ოთახში მის ყოფნას მხოლოდ მათემატიკაში და ა.შ. ზოგი მოსწავლე კი დღის ძირითად ნაწილს ატარებს აქ, მაგალითად, ემოციური ან ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეები. გარდა ამისა, განათლების იურისდიქცია განსაზღვრავს დროს, რომელიც მოსწავლემ უნდა გაატაროს რესურს ოთახში. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მინიმუმ 3 საათი კვირაში, სულ მცირე 45 წუთი კვირაში სამჯერ მოსწავლეთა ასაკისა და საჭიროებების შესაბამისად.

ამრიგად, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ზრუნავენ ინკლუზიურ განათლების განხორციელებისათვის, მათ შორის როგორც სსსმ და შშმ პირთა განათლებისათვის. გერმანიის სკოლები დაყოფილია სპეციალიზირებულ, კორექციული და ზოგადი სკოლებად. სპეციალიზირებულ სკოლებში, როგორც წესი სწავლობენ მძიმე ფიზიკური და გონებრივი დარღვევის მქონე ბავშვები, კორექციულში ეგრედწოდებული „რთული ბავშვები“. ხოლო შვედეთის განათლების სისტემის მიზანია ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს მორგებული განათლების დამკვიდრებით. ამერიკის კანომდებლობით „კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ“,

მოქმედებს 2002 წლიდან მიხედვით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოეპყრას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისევე, როგორც სხვა ბავშვებს, შეცვალონ თავიანთი საქმიანობა და საგანმანათლებლო პროგრამები ისე, რომ დაკმაყოფილდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

## თავიII. მოთხოვნები სკოლაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით

### §5.1 ეროვნული სასწავლო გეგმა ინკლუზიური განათლების შესახებ

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წერილობითი დოკუმენტი, შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამავდროულად არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ინდივიდულური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად ჯგუფი ისგ ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ:

- სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
- საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
- სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
- სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
- საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს მოსწავლის უნარები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები აკადემიური, მოტორული, შემეცნებითი, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით. ამის შემდეგ იწყება მუშაობა უშუალოდ ისგ-ზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი მიზნები 35 და მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები იმ საგანში ან საგნებში, რომლებშიც სსსმ მოსწავლეს ექმნება გარკვეული სახის სირთულეები. გარდა ამისა, განისაზღვრება:

- დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
- სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო განმავითარებელი რესურსი და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კიდევ უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლის ჩართვას სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით. ესგ-ის მიხედვით, მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის გადავიდეს მომდევნო კლასში გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს საგამოცდო მასალის ადაპტირება – უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

გარდა ამისა, ესგ მოიცავს სსსმ მოსწავლეების შინ სწავლების ფორმასაც. აღნიშნულ ფორმას სკოლა მიმართავს მაშინ, როდესაც სსსმ მოსწავლე ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ დადის სკოლაში. ამ შემთხვევაში სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზე მოსწავლე იწყებს შინ სწავლებას. მისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. „სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის გარდა ფიზიკური აღზრდისა კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით. მოსწავლესთან ვიზიტს ახორციელებს სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის ან საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში. საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს.

ამრიგად ახალი 2018-2019 ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ინკლუზიურ განათლების ძირითად მიმართულებებს, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხს: სსსმ მოსწავლის მახასიათებელი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პირობები.

## §5.2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო გარემო ინკლუზიური განათლებისთვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოში წარმატებულ ჩართულობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ინკლუზიის პროცესი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელთანაც მოსწავლეს უხდება ურთიერთობა განათლების მიღების პროცესში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალური გარემოს ნაწილს, სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ერთად, სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები წარმოადგენენ.

ინკლუზიური განათლების მიმართ სკოლის სოციალური გარემოს პოზიტიურმა ან ნეგატიურმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფერხოს ან შეუწყოს ხელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წარმატებებს სკოლაში.

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებული დანერგვისათვის, აუცილებელია სკოლის მოსწავლეების და მათი

მშობლების დამოკიდებულების, მზაობისა და ინფორმირებულობის გათვალისწინება ინკლუზიური განათლების მიმართ.

შესაბამისად, გაუმართლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩართულობის ინიციატივა, სკოლის სოციალური გარემოს წინასწარი. მომზადების  გარეშე. სკოლაში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სკოლის სოციალური გარემო შესაბამისი ინფორმაციით და ამისათვის გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის, საინფორმაციო პლაკატები, შეხვედრები და მსჯელობები მშობელთა კრებებზე, შესაბამისი აქტივობები გაკვეთილებზე ბავშვებთან და ა.შ.

მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს დამკვიდრებული არასწორი დამოკიდებულებების, შიშების და ცრურწმენების გაქარწყლებას ინკლუზიური განათლების ინკლუზიური განათლება  გზამკვლევი მასწავლებლებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ.

გარდა ზოგადი ინფორმაციისა სკოლაში დაგეგმილ ან მიმდინარე ინკლუზიური განათლების პროცესის შესახებ, მშობელს აქვს უფლება მოითხოვოს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო  საჭიროებების შესახებ, თუკი ასეთი მოსწავლე მის შვილთან ერთად სწავლობს. მშობლებს ხშირად აინტერესებთ:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კლასში არსებობა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს სხვა მოსწავლეების სასწავლო მიღწევებზე;
- ხომ არ დაეთმობა სხვა მოსწავლეებს ნაკლები ყურადღება მასწავლებლების მხრიდან;
- ხომ არ არის შეზღუდული შესაძლებლობა გადამდები;

- ხომ არ მიბაძავენ დანარჩენი მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ქცევას და ამით, მშობლებისთვის არასასურველ უნარ-ჩვევებს აითვისებენ;
- ხომ არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე აგრესიული;

კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს მშობელი შესაბამისი, ობიექტური ცნობებით და გასცეს პასუხი მშობლის შეკითხვებს ამ პროცესში, რასაკვირველია, დიდია პროფესიონალთა ფსიქოლოგთა და სპეციალურ პედაგოგთა როლი.

მშობლის ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფა, ერთის მხრივ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მიმართ, სწორი. დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ხოლო მეორეს მხრივ, სწორედ ინფორმირებული და ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილი მშობელი, არის გარანტი ბავშვის სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა.

პედაგოგის ფუნქციაა ხელი შეუწყოს კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელსა და დანარჩენ მშობელთა შორის დადებითი ურთიერთ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოს მეტი სიახლოვე მათ შორის. ამისათვის შესაძლებელია კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა, მაგ. ლაშქრობები ქალაქგარეთ, სადაც მშობლებს ურთიერთობა აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან და მის მშობელთან. ამ ურთიერთობის შედეგად კლასის მშობლების კეთილგანწყობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

მშობელთა შორის დადებითი კომუნიკაციის წახალისების პარალელურად, საგანმათლებლო სისტემის უპირველესი ამოცანაა ბავშვებს შორის დადებითი კომუნიკაციის და ურთიერთობის წახალისება. მასწავლებელს ამისთვის შეუძლია ჯგუფური მუშაობის გამოყენება, სადაც

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სხვა მოსწავლეებთან ერთად, ერთი დავალების ირგვლივ გაერთიანდება.

ამრიგად გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების უფლების უზრუნველყოფის პარალელურად, სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგთა მოვალეობაა სკოლის  დანარჩენი მოსწავლეების ინტერესების დაცვა. გაუმართლებელია ინკლუზიური განათლების დანერგვა, თუკი ეს პროცესი დანარჩენი მოსწავლეების საზიანოდ განხორციელდება. მაგ. თუ ხშირად იშლება საგაკვეთილო პროცესი, მასწავლებელი ვერ უთმობს მოსწავლეებს საკმარის ყურადღებას, უხდება კლასის ხშირი დატოვება და ა.შ ამ შემთხვევაში, მშობელს უფლება აქვს, სკოლის ადმინისტრაციას სიტუაციაში გარკვევა და შესაბამისი რეაგირება მოსთხოვოს. პრობლემური სიტუაციის გადაჭრა ორივე მხარის ინტერესების დაცვით უნდა მოხდეს  არ შეიზღუდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის უფლებები მიიღოს განათლება თანატოლებთან ერთად და არ ჩაიშალოს საგაკვეთილო პროცესი.

## §6. კვლევები და რეკომენდაციები ინკლუზიურ გარემოსთან მიმართებაში

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინსტროს მიერ ჩატარებული კვლევა „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“ საკმაოდ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, უმრავლესობა - 88.5% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია ყველა ბავშვის მიმართ, თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდეთ. საკმაოდ მნიშვნლოვანია ისიც, რომ კვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტთა 82.6% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ყველა სტუდენტს ანიჭებს სიამოვნებას და ახალისებს სწავლის

სურვილს. გამოკითხულთა 54.5% ეთანხმება, რომ აქტივობები ავითარებენ განსხვავებული წარმომავლობის, კულტურის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიისადმი ტოლერანტობას. 67.4% კი ამბობს, რომ მასწავლებლები ერიდებიან კლასობრივი, რასისტული, სექსისტური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციული შენიშვნების გაკეთებას.

აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდა თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის სკოლების წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები და კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების კითხვარი „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“. კვლევაზე მუშაობდნენ თინათინ ჭინჭარაული და ნინო ჯავახიშვილი ეს გახლავთ 2013 წლის მონაცემები, მაგრამ შედეგები დღესაც აქტუალურია აღსანიშნავია, ისიც რომ კვლეის შედეგებიდან ბევრი საკითხი გაზიარებული იქნა და შესრულდა კიდეც. კვლევის შედეგებიდან ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა კვლევებში ასახულია ინკლუზიური სასწავლო გარემო.

კვლევის შედეგების თანახმად, სასკოლო გარემო ყველა ბავშვის მიმართ არის კეთილგანწყობილი და მეგობრული. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა - 91% თანხმდება, რომ სასკოლო გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. ასევე, უმრავლესობა - 88.5% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია ყველა ბავშვის მიმართ, თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდეთ. ასევე, 84.3% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ითხოვონ დახმარება, ან დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ ამ თვალსაზრისით ბავშვები არ არიან შეზღუდულნი.

გამოკითხვიდან ასევე გამოჩნდა, რომ სასკოლო გარემო კომფორტულია მასწავლებლების, მშობლების, სამეურვეო საბჭოს და თემის

სხვა წევრებისთვისაც. კერძოდ, გამოკითხულთა 78.4% მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო მათ ეკუთვნის.

რაც შეეხება სკოლაში წარმოქმნილ პრობლემებს, მასწავლებელთა უმრავლესობას შეუძლია თავისუფლად განიხილოს წარმოქმნილი პრობლემები, გამოკითხულთა 78.6%-მა იცის, ვის უნდა მიმართოს პრობლემების მოგვარებისთვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის. კერძოდ, გამოკითხულთა 71.7% თანხმდება, რომ სკოლაში მიმდინარე აქტივობები და სასკოლო სტრატეგიები ყველა მშობლისთვის/მეურვისთვის არის ცნობილი; ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტთა 67% ამბობს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის თანაბრად, განურჩევლად მათი ენის, ან შეზღუდული შესაძლებლობებისა.

კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა კეთილგანწყობილია. გამოკითხულთა 80.9% ამბობს, რომ მასწავლებლები და მშობლები/მეურვეები ერთმანეთს პატივს სცემენ, ასევე მშობლები გრძნობენ, რომ მათ ინტერესებს სერიოზულად ეკიდებიან - 68%.

რაც შეეხება ბავშვის სკოლაში მიღების და მისთვის სკოლის გაცნობის სტრატეგიებს, გამოკითხულთა 60.1% ამბობს, რომ სკოლები იღებენ ზომებს, რომ ბავშვმა კარგად გაიცნოს სკოლა, სანამ სიარულს დაიწყებს; ასევე, ახალ ბავშვებს აწყვილებენ გამოცდილ ბავშვებთან, როცა ისინი პირველად მოდიან სკოლაში – 55.2%; რამდენიმე კვირის შემდეგ ამოწმებენ, რამდენად კარგად გრძნობს ბავშვი თავს ახალ გარემოში – 67.9%; როცა ბავშვებს უწევთ ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა, ორივე სკოლის მასწავლებლები თანამშრომლობენ ამ ცვლილების გასაადვილებლად – 27.6%. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 22.4% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ასევე, გამოკითხულთა ყველაზე

დიდმა წილმა – 32.1%-მა არ იცის, სკოლაში გადასვლამდე ამზადებენ თუ არა ბავშვებს ახალი სასკოლო გარემოსთვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ თემის ყველა ბავშვი შეძლებისდაგვარად ჩართონ სასწავლო პროცესში. კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა 83.8% თვლის, რომ მასწავლებლები მოუწოდებენ ყველა ბავშვს შეუერთდეს სასკოლო გარემოს, განურჩევლად მისი მიღწევებისა და შეზღუდული შესაძლებლობებისა; ასევე, ცდილობენ დაძლიონ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების წინაშე არსებული ბარიერები – 69.8%; აქტიურად მოუწოდებენ სოციალურად დაუცველ ბავშვებს, ისწავლონ სკოლაში – 73.7%.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, 73.1% ეთანხმება, რომ შშმ პირებისთვის სკოლაში სწავლა მეტი პირობის დაკმაყოფილებას მოითხოვს, სხვებთან შედარებით. მხოლოდ 30.9% ამბობს, რომ სკოლის შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები. გამოკითხულთა 26.1%-მა არ იცის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ.

ერთმანეთის მხარდაჭერის გამოკლვლევის მიხედვით გამოკითხულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ყველა მასწავლებლის პასუხისმგებლობად ითვლება იმ ბარიერების დაძლევაში მხარდაჭერა, რაც ექმნებათ ბავშვებს თამაშის ან სწავლის დროს – 82.3%.

მშობლების 24.1% და მასწავლებლების 39.6% ფიქრობს, რომ არსებობს გეგმა იმისა, თუ როგორ შეუძლიათ გარე სერვისებს ინკლუზიური კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა; გამოკითხულთა ყველაზე მაღალი წილი – 37.9% ამბობს, რომ არ იცის ამ გეგმის არსებობის შესახებ. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ არ ეხება ეს საკითხი, არასწორი ინფორმაცია აქვს. ასევე, გამოკითხულთა 42.9% თვლის, რომ მასწავლებლებმა იციან ყველა ამ გარე სერვისის შესახებ. 50.8% თვლის, რომ ჯანდაცვის,

სოციალური სერვისების და განათლების სფეროს წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანამშრომლობენ. თუმცა, 18.3%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

მშობლების 64.3% თვლის, რომ სკოლაში აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია განსხვავებული წარმომავლობის, გამოცდილების, მიღწევების, ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ბავშვების მონაწილეობა. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების“ პოლიტიკა მიმართულია თამაშის და სწავლის განვითარებაზე ყველასთვის და გარიყვის მინიმუმამდე დაყვანაზე – 69.5%.

გამოკითხულთა 40.7% თვლის, რომ სსსმ სტატუსის მქონე ბავშვები განიხილებიან, როგორც განსხვავებული ინტერესების, ცოდნის და კომპეტენციების მქონე, არაჰომოგენური ჯგუფი. თუმცა, 22.1%-მა საერთოდ არ იცის, რა დამოკიდებულებაა სკოლებში ამ საკითხთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს შორის.

საინტერესოა ასევე სსსმ მოსწავლეთა მშობლების მოლოდინები, თუ როგორ ეპყრობიან მათ შვილებს თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე. კვლევამ აჩვენა, რომ სსსმ მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 51.1% თვლის, რომ მათ შვილს ნაკლები მზრუნველობით არ მოეპყრობიან სსსმ სტატუსის გამო, მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე მშობლების – 70.4%, მასწავლებლების – 73% და ადმინისტრაციის წარმომადგენლების – 72.4% მოსაზრება ამ დებულებაზე გაცილებით მაღალია. თუმცა, ეს განსხვავებები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

ამრიგად კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ. გამოკითხულთა 72.3% ღიაა ადგილობრივი თემის ბავშვების მიღებისთვის, განურჩევლად მათი წარმომავლობის, მიღწევების და შესაძლებლობების შეზღუდვისა. ამასთან, 55.1% თანხმდება, რომ

დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებულობის მიმართ შეუწყნარებლობაა და 64.8% თვლის, რომ მასწავლებლები პატივს სცემენ ბავშვების იდენტობების და კულტურების მრავალფეროვნებას, მათ შორის, მრავალეთნი-კური წარმომავლობის მქონეთ.

სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩატარებული კვლევებით გამოვლინებული შედეგების შესაბამისად მოცემულია რეკომენდაციები განვიხლიავ ძირითად საკითხებს: კვლევებმა გამოავლინა, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია ცვლილებების განხორციელება როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე პრაქტიკული განხორციელებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, ასევე საშუალებას მისცემს პოლიტიკის განმსაზღვრელებს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების სქემა უფრო თვალსაჩინო გახადონ.

მონიტორინგისათვის ადეკვატური იარაღია კითხვარი „ინდექსი ინკლუზიისთვის“, რომელიც საკმარისად მარტივი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ რესურსცენტრებმა, სკოლებმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა გამოიყენონ რეგულარულად, თუნდაც წელიწადში ერთხელ, საჭიროებებისა და პროგრესის შესაფასებლად.

უაღრესად მნიშვნელოვანია, ასევე, სისტემური მიდგომა ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემისადმი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად და კოორდინირებულად უნდა გროვდებოდეს და ინახებოდეს. ამისათვის კი, საჭიროა: სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა, ინფორმაციის შეგროვების მკაფიო მოთხოვნების ჩამონათვალის შექმნა მაგალითად, რომელი სტატისტიკური მონაცემებია საჭირო და ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ნათელი სისტემის შემუშავება.

სულ მცირე, განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები უნდა თანამშრომლობდნენ ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის ერთიანი სისტემის შექმნის პროცესში, საჭიროა ასევე, სხვა უწყებების ჩართვა, როგორებიცაა სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციები. საკანონმდებლო დონეზე აუცილებელია უმაღლესი და პროფესიული განათლების კანონებში ინკლუზიური განათლების მოდელის გათვალისწინება, რაც გაზრდის განათლების შესაბამისი საფეხურების უზრუნველმყოფელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და/ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი.

რაც შეეხება ინკლუზიური განათლების მოდელის განხორციელებაში უშუალო მონაწილე მხარეების მოსაზრებებს, მთლიანობაში, რესპონდენტები ინკლუზიური განათლების სისტემის საკმაოდ დადებით სიტუაციას ხატავენ და მხოლოდ მატერიალურ პირობებს მიიჩნევენ არასათანადოდ განვითარებულად. მათი აზრით, სკოლებში და პოფესიულ კოლეჯებში თბილი და თანამშრომლური ატმოსფეროა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია, დამოკიდებულებები პარიტეტულია, სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ერთმანეთს პატივს სცემენ; თუ პრობლემა წამოიჭრება, ყველამ იცის, ვის მიმართოს, სასკოლო გარემოს წესები მინიმალური და ყველასათვის გასაგებია. სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა განსხვავებული ბავშვების მიმართ და მასწავლებლები პატივს სცემენ ბავშვების იდენტობების და კულტურების მრავალფეროვნებას, მათ შორის, მრავალეთნიკური წარმომავლობის მქონეთ. ამასთანავე, დაწესებულებები ისევე ეხმარებიან ახალ თანამშრომლებს ადაპტაციაში, როგორც მოსწავლეებს.

მატერიალური პირობების მხრივ, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა – გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ სკოლის შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები და,

რომ სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის საჭირო ადაპტირებული მასალები, მუშაობენ თარჯიმნები. შესაბამისად, მეტი ფინანსებია საჭირო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯებისათვის, რომ პირობები გაუმჯობესდეს. აუცილებელი არაა, რომ ამ ფინანსების წყარო მხოლოდ სახელმწიფო იყოს, კერძო შემოწირულობები დაფინანსების კიდევ ერთი წყაროა. შესაძლოა, სკოლების და პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაციას ტრენინგები ჩაუტარდეს ფონდების მოძიების უნარის განსავითარებლად.

კვლევამ აჩვენა, რომ ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბების მხრივ, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი:

მოსწავლეების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ჯერ არ არის სასურველ დონეზე განვითარებული, რესპონდენტთა მხოლოდ ნახევარს მიაჩნია, რომ ბავშვები აღიარებენ მათგან განსხვავებული ბავშვების მიღწევებს და ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციულ, ან დამამცირებელი სახელების გამოყენებას. რაც კიდევ უფრო ყურადსაღებია, რესპონდენტთა მესამედზე ნაკლები თვლის, რომ სკოლაში განსხვავებულობის პატივისცემა უფრო მეტად ხდება, ვიდრე „ნორმისადმი“ შესაბამისობის ხაზგასმა და რომ ენის სხვადასხვაგვარობა, კუთხური აქცენტები და დიალექტები განიხილება, როგორც სარგებლის მომტანი სკოლისა და ფართო საზოგადოებისათვის. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა 22.1%-მა საერთოდ არ იცის, რა დამოკიდებულებაა სკოლებში ამ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო, საგანგაშოა, რომ გამოკითხულების მხოლოდ 4.5% თვლის გეი და ლესბოსელ ადამიანებს სასკოლო გარემოში დაფასებულად და აღიარებულად, როგორც მრავალფეროვნების ნაწილს, ხოლო გამოკითხულთა 41.9% ამბობს, რომ არ ფლობს ინფორმაციას. შესაძლებელია, ისინი თავს არიდებენ პასუხს.

გამოკითხულთა ნახევარს მიაჩნია, რომ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ავითარებენ განსხვავებული ეთნიკური

წარმომავლობის, კულტურის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიისადმი ტოლერანტობას. თუმცა, მხოლოდ 35.5% ამბობს, რომ წიგნები, ნახატები, სათამაშოები, თოჯინები ასახავენ ეთნიკუ-რი უმცირესობების წარმომადგენელ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არასტერეოტიპულად და ყოველდღიურ სიტუაციებში. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა 40.5%-მა არ იცის, წარმოადგენს თუ არა მასწავლებელთა დანიშვნისთვის არსებით კრიტერიუმს ბავშვებს შო-რის განსხვავებულობის აღიარება.

შესაბამისი რეკომენდაცია იქნება სკოლებში სპეციალური ღონისძიებების გატარება, რათა მოსწავლეთა შეგნების დონე გაიზარდოს. ეს შეიძლება იყოს სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მშობლებთან საუბარი, ამ სფეროს სპეციალისტების მოწვევა მშობლებთან შესახვედრად, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილის გაკვეთილების ჩატარება მრავალფეროვნების თემაზე. ამ მხრივ, საყურადღებოა აშშ სკოლების გამოცდილების გაზიარება, სადაც დიდი წარმატებებია მრავალფეროვნების აღიარების საკითხში.

სირთულეებია ინკლუზიის პრობლემისადმი სტრატეგიული მიდგომის კუთხით, მაგალითად, უმრავლესობის დაახლოებით 80%-ის აზრით, არ არსებობს ხედვა იმის შესახებ, როგორ შეიძლება სკოლებს დაეხმაროს საზოგადოება, თემი, გარე სერვისები. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ არ ეხება ეს საკითხი, არასწორი ინფორმაცია აქვს.ამ ორი სირთულის გამოსასწორებლად რეკომენდაცია იქნება სკოლის თანამშრომლების ტრენინგი მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების, გადაწყვეტილების მიღების კოლეგიალობის, გუნდური მუშაობის და სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ.

სისტემის მუშაობის ხარვეზები ჩანს იქიდანაც, რომ გამოჩნდა განსვლა ტიპური და სსსმ მოსწავლეების მშობლების პასუხებში. როგორც წესი, ტიპური მოსწავლეების მშობლების უმეტესობა დადებითად აფასებს არსებულ სიტუაციას და მთლიანობაში თვლის, რომ სასწავლო გარემო ქმნის სათანადო პირობებს მათი შვილებისათვის, მაშინ, როდესაც სსსმ მოსწავლეთა მშობლების ბევრად ნაკლები რაოდენობა ფიქრობს ასე. მაგალითად, რომ სკოლაში მათ ინტერესებს სერიოზულად უდგებიან, ან, რომ ტიპური ბავშვები არ დასცინიან და კარგად უგებენ სსსმ ბავშვებს, განსხვავებულობას უყურებენ, როგორც რესურსს და არა როგორც პრობლემას, რომ სსსმ მოსწავლეებს ისევე იღებენ, როგორც ტიპური განვითარების მქონეთ. სასკოლო გარემო ხელმისაწვდომია ყველასათვის, აქტივობების დაგეგმვისას ცდილობენ ყველა ჩართონ, ან, რომ აქტივობები ასახავს ყველა ბავშვის ინტერესებს, კომპეტენციებს და სხვა. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანობაში სკოლები და პროფესიული კოლეჯები ნაკლებადაა მორგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს და ამას ხედავენ სსსმ მოსწავლეთა მშობლები – ისინი, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხება.

ამრიგად, 2009 წლიდან დღემდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ტრენინგებს. ბოლო პერიოდში ტრენინგების თემატიკის სფერო გაფართოვდა ჩაუტარდათ ტრენინგები სკოლის მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს და სკოლის დირექტორებს.

## §7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა

საქართველოში მცხოვრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. როდესაც საუბარია სსსმ და შშმ პირებისათვის მაქსიმალურად ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დგება სსსმ და შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, განათლების, ინფორმირებულობის, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, თავისუფალი გადაადგილებისა და ორიენტაციის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის, კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების აუცილებლობა.

საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს სსსმ და შშმ პირების მიმართ. ზოგიერთი ვერ ხვდება, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების ნაწილია და მათ მიმართ არასწორი დამოკიდებულება აქვთ. თუმცა, წლიდან წლამდე იზრდება საზოგადოების სწორი მიდგომა ამ საკითხის მიმართ, რაც კიდევ ერთი წინ გადადგული ნაბიჯია. ამ აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა სტრუქტურები, ინსტიტუტები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

დღეისათვის სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს. ყველა ადამიანს აქვს ინდივიდუალური ნიჭი რაღაცის კეთების, რაც მას გამოარჩევს სხვებისგან. დღეს, საბედნიეროდ, ბევრი ცდილობს შეცვალოს ადამიანთა არასწორი წარმოდგენები სსსმ და შშმ პირებზე, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. სსსმ და შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მკვეთრად უარყოფითი შედეგები, კერძოდ, სსსმ და  შშმ პირების სიკვდილიანობის, ფსიქოლოგიური პრობლემების ზრდა.

სსსმ და  შშმ მქონე ბავშვებს აქვთ უფლება, იყვნენ დისკრიმინაციისაგან თავისუფალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები; საქართველოში მწვავედ დგას შემდეგი ამოცანები:

- იმ ოჯახებისათვის მომსახურების მიწოდება, რომლებიც სპეციალური საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უვლიან;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა;
- ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაუმჯობესება;
- იმ დამოკიდებულებისა და ქცევითი ნორმების ტრანსფორმაცია, რომლებიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სტიგმატიზაციას.

საქართველოში 2005 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა ფიქსირდებოდა 2-9 წლამდე ასაკის ბავშვების 14%-ში, რაც დაახლოებით 40 000 ბავშვს უდრის ამ ასაკობრივ ჯგუფში. ქვეყნის მთავარ პრობლემად რჩება ინკლუზიური განათლება - ამჟამად ქვეყანაში მხოლოდ 12 ინკლუზიური სკოლაა; სახელმწიფომ, ადგილობრივმა თემებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებაში.

თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დამოკიდებულებას სსსმ და შშმ ბავშვების მიმართ, არამარტო ბავშვებისთვის არამედ მშობლების და ოჯახის წევრებისთვისაც. გამოკითხულთა 42% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გრძნობს საზოგადოების მხრიდან; 37% უფრო დადებითად აღიქვამს ვიდრე უარყოფითად; 16% სრულიად დადებით ენერგიასა და მუხტს გრძნობს გარშემომყოფთაგან და მხოლოდ 5% გრძნობს უფრო მეტად უარყოფით დამოკიდებულებას, ვიდრე დადებითს. 5% მოსახლეობისა რა საკვირველია ცოტაა, თუმცა სასურველია ამ უარყოფითი დამოკიდებულების მინიმალიზაცია და უკეთეს შემთხვევაში აღმოფხვრა.

ამგვარად, საქართველოში 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე ბავშვებს მიმართ გამოავლინა სოციალური ინტეგრაციის პრობლემა. მასწავლებლის პასუხისმგებლობად ითვლება იმ ბარიერების დაძლევაში მხარდაჭერა, რაც ექმნებათ ბავშვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. საზოგადოებაში ინტეგრირების შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა საზოგადოების გულგრილობა ამ ბავშვების მიმართ, მათი რეალური შესაძლებლობების შესახებ არასაკმარისად ინფორმირებულობა.

## §8. მონაცემთა შეგროვება სტრატეგიული განვითარებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამართველოს მიერ სკოლებს მიეწოდათ კითხვარი, კითხვარი შეეხება სკოლის მიმართვის ფორმა, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით, და კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით. კითვარების შევსება მოითხოვდა სათანადო მეთოდისა და მიდგომების ცოდნა, მეტი სიცხადისთვის წარმოვადგენ ფორმის ნიმუშებს და მივუთითებ იმ მეთოდებს, რომლის გამოყენებითაც ივსება აღნიშნული კითხვარები.

მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭება იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი კლასის დამრიგებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის

დამრიგებელს საგნის მასწავლებლის შემთხვევაში და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე სკოლის დირექციას.

ინფორმაციას სკოლის დირექცია აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს სკოლის დირექტორი სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს წერილობითი ფორმით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით. წარდგენილ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნას დაურთავს შემდეგ ინფორმაციას:

- მოსწავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება;
- იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების პირველადი მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი;
- კლასის დამრიგებლის მასწავლებლის მასწავლებლების მიერ შედგენილი, შესაბამის საგანში/საგნებში მოსწავლის მიღწევების

ცოდნა, უნარ-ჩვევები შეფასების ფორმა, რომლის ნიმუში მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

- ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტის სპეციალისტების ასეთის არსებობის შემთხვევაში მიერ შედგენილი მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის მართვის პირველადი შეფასებები და რეკომენდაციები;
- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რადგანაც ყველა სკოლაში არ არის სპეციალური მასწავლებელი და კითხვარის შევსებას შეიძლება დასჭირდეს კლასის დამრიგებელს სპეციალისტებთან კონსულტაციის პირადი პედაგოგიური საქმიანობაზე დაკავშირებით კითხვარის სწორად შესაცვსებად ეფექტურად მივიჩნიე ჩეკლისტების და სიხშირეების ცხრილის მეთოდების გამოყენება.

**წარმოგიდგენთ ჩეკლისტების გამოყენების ნიმუშს.**

გამოიყენება სპეციფიკური ქცევის, თვისების არსებობის ან არარსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარზე და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ, ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიკური ქცევების ნუსხას, რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა არ არსებობას. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის.

ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ის უნარები, რომელზე ხდება დაკვირვება:

| უნარები | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| თვითშეფასება | მასწავლებელთან თვალით კონტაქტს ამყარებს | | |
| | გამოხატავს ემოციურ მიჯაჭვულობას მასწავლებელის მიმართ | | |
| ემოციური განვითარება | ბრაზს მეტად გამოხატავს სიტყვებით, ვიდრე ნეგატიური მოქმედებებით | | |
| | რთულ და სახიფათო სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს | | |
| | მოწყენილობას ადეკვატურად უმკლავდება | | |
| | სიყვარულს გამოხატავს სხვების მიმართ | | |
| სოციალური თამაში | პარალელურად თამაშობს | | |
| | ჯგუფურ თამაშებს თამაშობს | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | თამაშში პოზიტიურად ერთვება | | |
| პროსოციალური ქცევა | კონფლიქტის დროს, შეუძლია თქვას, რას განიცდის სხვა | | |
| | შეუძლია გაზიარება | | |
| | აღელვების გარეშე იცავს ჯერს | | |
| მსხვილი მოტორიკა | სირბილის დროს სიჩქარის და მიმართულების ცვლას აკონტროლებს | | |
| | ხტება ორივე ფეხით | | |
| | შეუძლია აძრომა, ჩამოძრომა, გაძრომა ეზოში მოწყობილ გასართობებზე | | |
| | ისვრის, იჭერს და ფეხს ურტყამს ბურთს | | |
| წვრილი მოტორიკა | ადვილად ხსნის სხვადასხვა გასახსნელ ნივთებს, ხუფიან ქილებს და ა.შ | | |
| | სითხეს ასხამს ჭიქაში ისე, რომ არ ეღვრება | | |
| | ხსნის და კრავს ელვა, ღილები, ფხრიწი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | თავისუფლად იღებს და სვამს საგნებს მაგ. თავსატეხის ნაწილებს | | |
| კოგნიტური განვითარება | აჯგუფებს/ახარისხებს საგნებს ფორმის, ფერის მიხედვით | | |
| | კლასიფიცირებას ახდენს ზომის მიხედვით | | |
| | აჯგუფებს, თანმიმდევრულად ალაგებს საგნებს | | |
| სასაუბრო ენა | მოკლე წინადადებებით მეტყველებს | | |
| | საუბრისას იცავს ჯერს | | |
| | საუბრობს გრძელი წინადადებებით | | |
| | სვამს კითხვებს | | |
| წიგნიერება | ჯღაბნის ჰორიზონტალურად | | |
| | გამოყავს ასოების მსგავსი ფორმები | | |
| | ვითომ კითხულობს და ყვება მოთხრობას | | |
| | სურათების მიხედვით წიგნიდან დეტალურად ყვება მოთხრობას | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შემოქმედება | ჯღაბნა კონტროლს ექვემდებარება | | |
| | ხატავს ცხოველს, ხეს, ყვავილს | | |
| | კომბინირებულად იყენებს ძირითად ფორმებს წრე,სამკუთხედი, კვადრატი | | |
| | ხატავს ძირითად ფორმებს | | |
| წარმოსახვა | ანაწილებს როლებს ან ასრულებს სხვის მიერ განაწილებულ როლს | | |
| | მოქმედებს როლის შესაბამისად | | |
| | შეუძლია წარმოსახვითი საგნებით „ვითომ“ თამაში | | |

**ჩეკლისტების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხერეები**

ჩეკლისტის უპირატესობაა: მონაცემთა შეგროვება არ არის დროში შეზღუდული; ინფორმაციას სწრაფად ვინიშნავთ და შესაძლებელია მისი ნებისმიერ დროს და ბევრნაირ სიტუაციაში გამოყენება; ჩეკლისტის მონაცემების ინტერპრეტაცია ადვილია.

ნაკლი - არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას; ნარატიულისგან განსხვავებით, არ არის ინფორმაციულად მდიდარი. მაგალითად, როგორ ხორციელდება ქცევა, რა ხნის განმავლობაში; მოცემულია მხოლოდ ქცევის

არსებობა ან არარსებობა. ფორმატის გამო, კონკრეტულ ქცევებზე ხდება დაკვირვება და ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტები შეიძლება გამოგვრჩეს.

**წარმოგიდგენთ რეიტინგული სკალები გამოყენების ნიმუშშს.**

ჩეკლისტების მსგავსია, რომლის მიზანი სპეციფიკური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. თუმცა, ობიექტურობა შეიძლება დამკვირვებლის შეხედულებისამებრ დაირღვეს.

უპირატესობა: ადვილი გამოსაყენებელია და ნაკლებ დროს საჭიროებს. ზოგიერთი სკალა მოიცავს რიცხობრივ სკალას, სხვა სკალები უფრო სპეციფიკურად განსაზღვრავენ ქცევას

ნაკლი: ქცევის ფრაგმენტებს მოიცავს. რეიტინგული სკალის არჩევისას, დამკვირვებელი კარგად უნდა იცნობდეს დასაკვირვებელ ქცევას, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს. ტიპიური რეიტინგული სკალა მოცემულია ქვემოთ. წარმოგიდგენთ რეინტიგული შკალების გამოყენების ნიმუშშს.

| | **ყოველთვის სწორად ასრულებს** | **ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს** | **საერთოდ ვერ ასრულებს** |
|---|---|---|---|
| ფიზიკური განვითრება | | | |
| თვითმოსახურება | | | |
| შემეცნების სფერო | | | |
| ენობრივი განვითრება | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მზაობა<br>წერისთვის | | | |
| სოციალურ-<br>ემოციური სფერო | | | |

**მონაცემთა ინტერპრეტაცია, შეფასების შედეგები**

ობიექტურ მონაცემთა ჩაწერის კითხვარებისა ჩეკლისტების და რეიტინგული სკალების მონაცემების შეგროვების შემდეგ, ამ მონაცემთა ინტერპრეტაცია, მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭება ხდება. რატომ იქცევა ბავშვი ისე, როგორც იქცევა. რა შეიძლება იყოს ბავშვის მოტივი. რამ და ვინ გამოიწვია ის, რომ ბავშვი ასე მოიქცა?. ინტერპრეტაცია საჭიროებს ცოდნას და გარკვეულ უნარებს. დაკვირვებას, გარეშე, არა აქვს აზრი ინტერპრეტაციას და მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭების. მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვება ფაქტობრივი და მიუკერძოებელია, ამ ფაქტების ინტერპრეტაცია შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს. როგორც არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი, ასევე შეუძლებელია, რომ ორმა ადა-მიანმა ერთნაირად ახსნას ეს ფაქტები. ბავშვის ქცევის ინტერპრეტაციის მოტივები, როგორც წესი, ინტერპრეტატორის პირადი გამოცდილებითაა განპირობებული. პიროვნულმა განცდებმა, ღირებულებებმა და დამოკიდებულებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ქცევაზეც. ინტერპ-რეტირებისას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის განვითარების დინამიკა. აუცილებელია, კარგად იცნობდე და გესმოდეს ბავშვის ზრდისა და განვითარების პროცესი, რომ ჩანაწერებისა და დაკვირვების მონაცემების ინტერპრეტაცია და გამოყენება შედეგიანი იყოს. განვითარების პროცესი კომპლექსურია და ბევრად მეტია ვიდრე ცვლილება. უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებულია, განვითარების პროცესი კი:

- თანმიმდევრულია და შენდება ნასწავლზე გამომდინარეობს ნასწავლიდან
- განსხვავებულად ვლინდება ბავშვებში და კონკრეტულ ბავშვთან-სხვადასხვა სფეროში
- განპირობებულია ადრეული გამოცდილებით
- მარტივიდან რთულზე გადადის
- სოციალური და ემოციური კონტექსტის გავლენის ქვეშ ექცევა
- გადაიცემა კულტურულად და აქტიურობით
- ბიოლოგიური და გარემო ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ექცევა
- ხელშეწყობილია თამაშით
- ექვემდებარება გაწაფვას და გამოწვევებს
- წარმოდგენილია სხვადასხვა მოდალობებში

ჩეკლისტების და რეიტინგული სკალები მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა მონაცემები შეგროვდეს დროულად და სიზუსტესთან მიახლოებით, რაც საშუალებას იძლევა ინფორმაციის შემდგომ ინტეპრეტაციის მნიშვნელობის მინიჭების და შესაბამისი იმ საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დაეხმარება მოსწავლებს განვითარების წინსვლაში.

ამრიგად, აღნიშნული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ კლასის დამრიგებლებს მათ შემოთავაზებული კითხვარის შევსებისას გამოიყენეს ჯერ ჩეკლისტების მეთოდი ანუ დამკვირვებლებმა მონიშნებს ის ქცევები და თვისებები, რომლებსაც ავლედნენ მოსწავლეები და შემდგომ რამოდენიმე კვირა აკვირდებოდნენ რეიტინგული სკალების გამოყენებით ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. ამგვარი მიდგომა სასარგებლო აღმოჩნდა რადგანაც დაკვირვება ფოკუსირებული იყო უკვე გამოვლენილ ქცევის სიხშირეზე, და ვითარებას უკეთ წარმოაჩენდა. ამასთან აღნიშნული მეთოდებით მუშაობა სირთულეს არ წარმოადგენდა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ყველასათვის, რადგან განათლება არის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რაზეც დგას სახელმწიფო. განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და თანასწორობა წარმოადგენს მთავარ მიზანს. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ბევრი პრობლემა იკვეთება ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა ინკლუზიური ცნების მნიშვნელობამ და რამაც გამოიწვია დამოკიდებულებების გადაფასება, ტერმინი „ინკლუზია“ თანამედროვე გაგებით ნიშნავს საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა თავისებურება ახასიათებთ მოსწავლეებს.

გამოიცა სხვადასხვა საერთაშორისო აქტი, ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელიც მოიცავდა ბავშვთა უფლებებს განათლების მიღებასთან დაკავშირებით. რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანი როლი აქვს  სალამანკას დეკლარაციას ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესში.

XXI საუკუნის დასაწყისში სპეციალიზირებული სასწავლებლები გაუქმდა და დაიწყო ახალი მიმართულება სსსმ პირთა ჩვეულებრივ სასკოლო სისტემაში ინტეგრაცია. სახელმწიფოს მხრიდან ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი პროგრამების ეფექტური განხორციელება, იმისთვის რომ სპეციალურ საგანმანათლობლო საჭიროების და

შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებს შეუქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო და მოხდეს მათი ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მათთვის იქმნება ინტეგრირებული კლასები და სპეციალიზებული სკოლები სმენა-მხედველობა დაქვეითებულ მოსწავლეებისათვის. რათა ყველას მიეცეს განათლების შესაძლებლობა. უკეთესი იქნებოდა, რომ მასწავლებლებს ქონდეთ ინფორმაცია ინკლუზიურ განთლებასთან დაკავშირებით, რადგანაც მათთვის უცხოა შეფასების ფორმები, ტერმინები და ინკლუზიური განათლების მოდელებიც. ეს გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებლებს კარგად არ ესმით, რა არის სრული, ნაწილობრივი ჩართვა და ინტეგრირებული სწავლება. აღნიშნული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ კლასის დამრიგებლებს მათ შემოთავაზებული კითხვარის შევსებისას გამოიყენეს ჯერ ჩეკლისტების მეთოდი ანუ დამკვირვებლებმა მონიშნებს ის ქცევები და თვისებები, რომლებსაც ავლედნენ მოსწავლეები და შემდგომ რამოდენიმე კირა აკვირდებოდნენ რეიტინგული სკალების გამოყენებით ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. ამგვარი მიდგომა სასარგებლო აღმოჩნდა რადგანაც დაკვირვება ფოკუსირებული იყო უკვე გამოვლენილ ქცევის სიხშირეზე, და ვითარებას უკეთ წარმოაჩენდა. ამასთან აღნიშნული მეთოდებით მუშაობა სირთულეს არ წარმოადგენდა.

უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ზრუნავენ ინკლუზიურ განათლების განხორციელებისათვის, მათ შორის როგორც სსსმ პირთა და შშმ პირთა განათლებისათვის. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა იზიარებს სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ინკლუზიური განათლების განხორციელებაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებბზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. ისგ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის მაქსიმალურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.

2009 წლიდან დღემდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ტრენინგებს. ბოლო პერიოდში ტრენინგების თემატიკის სფერო გაფართოვდა ჩაუტარდათ ტრენინგები სკოლის მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს და სკოლის დირექტორებს.

კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები სასარგებლო აღმოჩნდა მასწავლებლებისთვის. ისინი აკვირდებოდნენ მოსწავლეებს, მათ მიერ გამოვლენილ ქცევის სიხშირეს, ინტენსივობას, ხანგრძლიობას და ამის საფუძველზე გეგმავდნენ ჩარევის სტრატეგიას. აღნიშნული მეთოდებით მუშაობა მასწავლებლებისთვის არის მარტივად შესასრულებელი.

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, ასევე საშუალებას მისცემს პოლიტიკის განმსაზღვრელებს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების სქემა უფრო თვალსაჩინო გახადონ.
- მნიშვნელოვანია, ასევე, სისტემური მიდგომა ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემისადმი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად და კოორდინირებულად უნდა გროვდებოდეს და ინახებოდეს. ამისათვის კი, საჭიროა: სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა, ინფორმაციის შეგროვების მკაფიო მოთხოვნების ჩამონათვალის შექმნა, რომელი სტატისტიკური მონაცემებია საჭირო და ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ნათელი სისტემის შემუშავება.

- აუცილებელია, განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები თანამშრომლობდნენ ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის ერთიანი სისტემის შექმნის პროცესში, საჭიროა ასევე, სხვა უწყებების ჩართვა, როგორებიცაა სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციები.
- აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე აუმაღლესი და პროფესიული განათლების კანონებში ინკლუზიური განათლების მოდელის გათვალისწინება, რაც გაზრდის განათლების შესაბამისი საფეხურების უზრუნველმყოფელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და/ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი.

## ლიტერატურის დასახელება


1. ბაგრატიონ გრუზინსკი მაია, ზაქარეტაშვილი მარიკა, ფილაური ქეთევან კვაჭაძე ჟანა „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ გზამკვლევი მასწავლებლებისათვის თბილისი. 2014
2. გაგოშიძე თ., ჭინჭარაული თ., ფილაური თ., ბაგრატიონი მ., ინკლუზიური განათლების პრინციპები, 2008, 188 გვ.
3. გოგიჩიძე ნ., ყაჭეიშვილი თ., უჯმაჯურიძე მ., სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები, თბილისი, 2018, 54 გვ.;
4. ეროვნული სასწავლო გეგმა; იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 36/ნ; 11.03.2011 წ.;სალამანკას დეკლარაცია; წყარო „ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება“, 2008 წ.
5. ინკლუზიური განათლების დანერგვის, განხორციელებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე, თბილისი, 2018 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0
6. პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები, 2011, 96 გვ.
7. პაჭკორია თ., ჭინჭარაული თ., ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ., ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2011, 76 გვ.;
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2005, 04 08). საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

9. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვისა და განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების ბარიერებისა და მხარდამჭერი ფაქტორების კვლევა საქართველოში. თბილისი: ჩეხეთის განვითარების სააგენტო. 2015
10. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე; საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, დადგენილება 1888-რს, 27.12.13
11. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0
12. „შშმ ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში“ რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. თბილისი, 2017
13. ჭინჭარაული, თ., & ჯავახიშვილი, ნ. ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2013.
14. Meijer J.W., Special Education across Europe in 2003, 2003, 146 გვ.
15. Meijer C., Soriano V., Watkins A., Special Needs Education in Europe, 2003, 63 გვ.
16. Thurlow Martha L., Ysseldyke James E., Graden Janet L., Algozzine B., “WHAT'S "SPECIAL" ABOUT THE SPECIAL EDUCATION RESOURCE ROOM FOR LEAR

## დანართი

### *სკოლის მიმართვის ფორმა*

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით

სკოლის დასახელება ----------

რეგიონი:_____

მუნიციპალიტეტი---------- განმცხადებელი:

სახელი, გვარი_____

ტელ:_____

მისამართი: _____

მოსწავლის/პირის სახელი გვარი:

_____

პირადი ნომერი:

დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)

_____

ასაკი: _____

სქესი: _____

კლასი: _____

მიმართვის მიზანი (შემოხაზეთ ერთი ან რამდენიმე):

ა) პირველადი შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა;

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმეორებითი შეფასება;

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მოხსნა;

დ) ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში;

ე) ტრანზიცია სკოლიდან პროფესიულში;

ვ) შეფასება ინტეგირებულ კლასში ჩარიცხვის მიზნით;

ზ) შეფასება რესურს სკოლაში ჩარიცხვის მიზნით (სკოლის N----------);

თ) შეფასება სსსმ ასისტენტის საჭიროების დადასტურების ან მოხსნის მიზნით;

ზ) სხვა ----------

დიაგნოზი:

_____

(მიუთითეთ, თუკი დიაგნოსტირებულია ან მიუთითეთ შეზღუდვის ფორმა)

აქვს თუ არა ფიზიკური შეზღუდვა: კი  არა

აქვს თუ არა ინტელექტუალური დარღვევა: კი  არა

აქვს თუ არა სმენის პრობლემა: კი  არა

აქვს თუ არა მხედველობის პრობლემა: კი  არა

აქვს თუ არა ემოციური და ქცევის დარღვევა: კი  არა

აქვს თუ არა სწავლის უნარის დარღვევა: კი  არა

აქვს თუ არა მეტყველების დარღვევა: კი  არა

სხვა:

_____

მიმართვის ფორმაზე თანდართულია

1.მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი;

2. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი

სკოლის დირექტორის

სახელი, გვარი ---------- ----------

ხელმოწერა ----------

მოსწავლის სახელი, გვარი ----------
---------- სკოლა ----------
კლასი ----------
შევსების თარიღი ----------

1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შეფასების ფორმა

ინსტრუქცია: ცარიელ გრაფებში აღწერეთ მოსწავლის სწავლასთანდაკავშირებითგამოხატულისიძნელეები

| კოგნიტური/შემეცნებითი უნარები | ძლიერი მხარე | სუსტი მხარე |
|---|---|---|
| აღქმა | | |
| ყურადღება | | |
| მეხსიერება | | |
| აზროვნება | | |
| მეტყველება | | |
| აკადემიური უნარები | ძლიერი მხარე | სუსტი მხარე |
| წერა | | |
| კითხვა | | |
| თხრობა | | |
| ანგარიში | | |
| | ძლიერი მხარე | სუსტი მხარე |
| კომუნიკაცია | | |
| ფუნქციური/ თვითმოვლის უნარები | | |

2. საგნის მასწავლებლების მიერ შესავსები ფორმა მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესახებ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით

ინსტრუქცია: აღწერეთ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. გაითვალისწინეთ, რომ თითოეული საგნის სტანდარტთან მიმართებაში, მოსწავლეს აფასებს ყველა ის საგნის მასწავლებელი, რომელიც მას ასწავლის, შესაბამისად ქვემოთ მოცემული ცხრილი გადამრავლდება საგნების რაოდენობის მიხედვით.

საგნის დასახელება: _____

| | |
|---|---|
| მიუთითეთ ის სასწავლო შედეგები, რომლებსაც მოსწავლემ მიაღწია | 1.<br>2.<br>3.<br>4.<br>5. |
| მიუთითეთ ინდიკატორი, რომელიც ადასტურებს, რომ მოსწავლემ სასწავლო შედეგს მიაღწია | 1.<br>2.<br>3.<br>4.<br>5. |

3. იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების პირველადი მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი

ინსტრუქცია: „თქვენ, როგორც საგნის მასწავლებელმა, რა ზომებს მიმართეთ, მოსწავლის სწავლასთანდაკავშირებითგამოხატულისიძნელეების დაძლევის მიზნით:

საგნის დასახელება: _____

ა) გამოყენებული მეთოდოლოგიის აღწერა

| |
|---|
| |

ბ) გამოყენებული სტრატეგიების აღწერა

| |
|---|
| |

გ) სხვა

| |
|---|
| |

**კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა**

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით

| | |
|---|---|
| | განმცხადებელი (კანონიერი წარმომადგენელი): |
| სახელი, | გვარი |
| _____ | |
| ___ | ტელ: |
| _____ | |
| ___ | მისამართი: |
| _____ | |
| ___ | |

მოსწავლის/პირის სახელი გვარი:
_____

პირადი ნომერი: | | | | | | | | | | | |

დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)
_____ ასაკი:
_____
სქესი: _____

რომელ სკოლაშია დარეგისტრირებული (მიუთითეთ, თუ უკვე ირიცხება):
ქალაქი: _____ სკოლა:
_____ კლასი:
_____ მიმართვის მიზანი (შემოხაზეთ ერთი ან რამდენიმე):

ა) პირველადი შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა;
ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმეორებითი შეფასება;
გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მოხსნა;
დ) ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში;
ე) ტრანზიცია სკოლიდან პროფესიულში;
ვ) შეფასება ინტეგირებულ კლასში ჩარიცხვის მიზნით;
ზ) შეფასება რესურს სკოლაში ჩარიცხვის მიზნით (სკოლის N----------);
თ) შეფასება სსსმ ასისტენტის საჭიროების დადასტურების ან მოხსნის მიზნით;
ი) სხვა ----------

დიაგნოზი:
_____
(მიუთითეთ, თუკი დიაგნოსტირებულია ან მიუთითეთ შეზღუდვის ფორმა)

აქვს თუ არა ფიზიკური შეზღუდვა: კი
არა აქვს თუ არა

ინტელექტუალური დარღვევა: კი არა

აქვს თუ არა სმენის პრობლემა: კი არა აქვს თუ არა მხედველობის პრობლემა: კი არა აქვს თუ არა ემოციური და ქცევის დარღვევა: კი არა აქვს თუ არა სწავლის უნარის დარღვევა: კი არა აქვს თუ არა მეტყველების დარღვევა: კი არა სხვა: _____

მიმართვის ფორმაზე თანდართულია

- პირველადი საჭიროებების შეფასების კითხვარი

კანონიერი წარმომადგენლის
სახელი, გვარი ---------- ---------- ხელმოწერა ----------

პირველადი საჭიროებების შეფასების კითხვარი

კითხვარის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ მოსწალე/პირი აღნიშულ მახასიათებლებს უნდა ავლენდეს ხშირად, ბოლო 3 თვის განმავლობაში

ინსტრუქცია: თითოეული დებულების გასწვრივ მონიშნეთ მხოლოდ ის დებულება, რომელსაც ეთანხმებით (დასვით „V“ სიმბოლო).

| | |
|---|---|
| სენსორული დეფიციტი | |
| აქვს მხედველობის პრობლემა | |
| აქვს სმენის პრობლემა | |
| მეხსიერება, აზროვნება | |
| უჭირს მოსმენილი ინფორმაციის დამახსოვრება | |
| უჭირს თვალსაჩინოდ მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება | |
| საჭიროებს მითითებების, შეკითხვების ხშირად გამეორებას | |
| საჭიროებს მასალის გამარტივებას/დანაწევრებას | |
| გამოიყურება დაბნეულად | |
| აქვს აბსტრაქტული ცნებების გაგების სირთულე | |
| უჭირს დასწავლილის სხვა სიტუაციაში გამოყენება | |
| ყურადღება | |
| აქვს მოქმედებების და აქტივობების ორგანიზების სირთულე | |
| ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ, როცა ელაპარაკებით | |
| გარემოში არსებული სტიმულები ადვილად იწვევს მისი ყურადღების გადართვას | |
| უჭირს დეტალებზე ყურადღების გამახვილება | |
| გულმავიწყია ყოველდღიური აქტივობების მიყოლა/შესრულებისას. | |
| მეტყველება | |
| ვერ წარმოთქვამს ბგერებს | |
| საუბრისას სიტყვებს წარმოთქვამს არასწორად | |
| მეტყველებისას არ იცავს გრამატიკის წესებს | |
| აქვს შეზღუდული ლექსიკა | |
| მეტყველების დროს არ ამთავრებს აზრს, წინადადებას. | |
| კითხვა | |

| | |
|---|---|
| ვერ ცნობს ასოებს | |
| ვერ აერთიანებს ასოებს სიტყვებად | |
| კითხვისას ტოვებს ასოებს, ცვლის სიტყვებს | |
| ვერ ახერხებს წაკითხულიდან აზრის გამოტანას | |
| უჭირს წაკითხული ამბიდან  მოვლენათა თანმიმდევრობის განსაზღვრა | |
| წერა | |
| ვერ ახერხებს ასოების გადაწერას | |

| | |
|---|---|
| წერის დროს ანაცვლებს ასოებს სიტყვაში | |
| არ იცავს სიტყვებს შორის დისტანციას | |
| წერს არათანაბარი ასოებით | |
| ვერ გადმოსცემს აზრს წერილობით | |
| მათემატიკა | |
| ვერ ცნობს ციფრებს | |
| ვერ იგებს მათემატიკურ სიმბოლოებს (მიმატება, გამოკლება, გაყოფა და ა.შ.) | |
| ვერ ცნობს საათს | |
| ვერ იცავს მათემეტიკური ოპერაციების თანმიმდევრობას | |
| ზოგადი აკადემიური პრობლემები | |
| არ ასრულებს საკლასო დავალებას | |
| არ ასრულებს საშინაო დავალებას | |
| ვერ ახერხებს დავალების დამოუკიდებლად შესრულებას | |
| მის შესაძლებლობებზე ნაკლებს აკეთებს | |
| არ მიყვება წერილობით ინსტრუქციას | |
| თანაკლასელებთან შედარებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს მასალის გასაგებად | |
| ადვილად ეფანტება ყურადღება | |
| ცდილობს სწრაფად დაასრულოს დავალება და არ აქცევს ხარისხს ყურადღებას | |
| საგაკვეთილო დროს არ იყენებს სათანადოდ | |

| | |
|---|---|
| ერთი აქტივობის დასრულებამდე ხტება მეორეზე | |
| ქცევა | |
| ხმაურობს გაკვეთილზე, აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს | |
| ჩხუბობს სხვა ბავშვებთან | |
| ავლენს აგრესიას მასწავლებლებისადმი | |
| აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს მასწავლებლებზე | |
| აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს მოსწავლეებზე | |
| შექებაზე და წახალისებაზე არ პასუხობს ადეკვატურად | |
| ადვილად ბრაზდება, ღიზიანდება | |
| ძირითადად არ ურთიერთობს თანატოლებთან | |
| ბავშვები თავს არიდებენ მასთან კონტაქტს | |
| ცდილობს შეაწუხოს თანაკლასელები, რომლებიც ჩართულნი არიან გაკვეთილის პროცესში | |
| სხვების მეგობრულ დამოკიდებულებას, სიმპათიას პასუხობს შეუსაბამოდ | |
| გაკვეთილზე უმეტესი დრო ლაპარაკობს შეუსაბამო თემებზე | |
| ცდილობს ხელი შეუშალოს ბავშვებს თამაშში, აქტივობების შესრულებაში | |
| არ უზიარებს საკუთარ ნივთებს თანაკლასელებს | |
| მალავს, იცავს საკუთარ ნივთებს სხვებისგან | |
| ახასიათებს ტანტრუმი (ისტერიული ქცევები) | |
| მოტივაცია | |
| ხშირად აცდენს სკოლას | |
| გამოიყურება უენერგიოდ, დაღლილად | |
| საკუთარ შეცდომებს სხვებს აბრალებს | |
| არ მონაწილეობს ისეთ აქტივობებში, რაც მისი თანატოლებისთვის საინტერესოა | |
| თავს იდანაშაულებს სიტუაციებში, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა | |
| არ არის მოტივირებული, მიიღოს დადებითი შეფასება ან რაიმე ჯილდო | |
| უკიდურესად ღიზიანდება შენიშვნის მიღებისას | |
| ავლენს თვითდამაზიანებელ ქცევებს | |
| ჰქონია თვითმკვლელობის მცდელობა ან აქვს აზრები თვითმკვლელობის შესახებ | |
| აღნიშნავს, რომ არავის არ უყვარს და არავინ არ ზრუნავს მასზე | |

| | |
|---|---|
| არ იღიმის, არ იცინის, არ გამოხატავს სიხარულს | |
| არის აპათიური, არ ავლენს სკოლისადმი ინტერესს, მოტივაციას რაიმესადმი | |
| ზედმეტად კრიტიკულია საკუთარი თავისადმი | |
| არ ზრუნავს გარეგნობაზე, ჰიგიენაზე | |
| ხშირად ტირის | |
| ცდილობს იზოლირებას | |
| აკეთებს სექსუალური შინაარსის კომენტარებს | |
| იტყუება, უარყოფს მის გაკეთებულს, თხზავს არასწორ ისტორიებს | |
| მისი ქცევები არაპროგნოზირებადია | |
| სკოლაში დააქვს აკრძალული ნივთიერებები /ნივთები მაგ. (წამლები, სამართებელი, დანა, სანთებელა ან/და სხვ) | |
| მოტორული უნარები | |
| აქვს ბავშვს რაიმე სახის ფიზიკური პრობლემა: ---------- | |
| შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, | |
| იყენებს დამხმარე საშუალებას (ეტლი, "ვოლქერი", ყავარჯნები) | |
| თამაშობს (სახლში, გარეთ), მოსწონს თამაში | |
| შეუძლია სირბილი, ხტომა, აძრომა | |
| შეუძლია ბურთის სროლა და დაჭერა | |
| უყვარს თუ არა სპორტი. თუ კი, მიუთითეთ რომელი:---------- | |
| შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად თავის მოვლა: (ჩაცმა, ჭამა, ტუალეტის გამოყენება, ბანაობა, დასვენების დროის გამოყენება) | |
| უჭირს ღილების, თასმების, ელვაშესაკრავის შეკვრა, კბილების გამოხეხვა | |
| შეუძლია საწერი კალმის, ფანქრების, ცარცის გამოყენება/ხატვა | |

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____